# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 4 ოქტომბერი 2001 №189 (1462) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰაჯიმე, ჰაჯი — ჩვენ:

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## თქვენ რომ გაგიტანით ისარი

### იპონი იაპონიაა: რუმინელები ქართველების განადგურებას აპირებენ



ZIARUL PROSPORT

მარიუს და კონსტანტინ ნიკულაეები: მამა და მასწავლებელი შვილს ბუქარესტის აეროპორტში დახვდა

საქართველოს ეროვნული გუნდი რუმინელებთან სათამაშოდ გუშინ გაფრინდა და ნაშუადღევს უკვე ბუქარესტში იყო. ნაკრები სასტუმრო „პლასა კორონაში" მოეწყო და საღამოს დაახლოებით საათნახევარი ბუქარესტის გარეუბანში მდებარე ერთ-ერთ სტადიონზე ივარჯიშა.

თბილისიდან ჩასულთ, მილანელი კახა კალაძის გარდა, ყველა ლეგიონერი ბუქარესტში დახვდათ. ალექსანდრე ჩივაძის თანაშემწე მურთაზ ხურცილავას თქმით, კალაძეს დღეს ელიან.

გუშინ კი ჩივაძის განკარგულებაში მყოფი 18 ფეხბურთელიდან მხოლოდ ერთს, ნაკრების კაპიტან გიორგი ნემსაძეს არ უვარჯიშია სრული დატვირთვით და სათუოც არის, რუმინელებთან ითამაშოს. მას ვარჯიში დანარჩენებთან ერთად დაუწყია, მაგრამ მოგვიანებით ის მუხლი ასტკივებია, საოპერაციო რომ აქვს და გუნდის ექიმის მეთვალყურეობით მოედნის გარშემოლა ურბენია. ნაკრების სხვა წევრები ჯანმრთელად არიან, ცოტა ხნის წინ დაშავებული ხიზანიშვილ-ხიზანეიშვილიც არაფერს უჩივიან.

საქართველოს ნაკრებს დღეს ორი ვარჯიში აქვს დაგეგმილი. ერთი გუშინდელ მოედანზე, მეორე კი, საღამოს, ზეგინდელი მატჩის სარბიელზე „სტიაუას" სტადიონზე მატჩის წინადღით ვარჯიშს ქართველმა მწვრთნელებმა იქაურობის ღლესვე მოსინჯვა აჯობინეს. ხვალ კი იქ მასპინძლები ივარჯიშებენ.

— ყველაფერი კარგადაა, ნორმალურად ვიმგზავრეთ და კეთილმოწყობილ სასტუმროში დავბინავდით — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ, რომელიც ბუქარესტს ნაკრების რამდენიმე წევრთან ერთად თბილისიდან გაემგზავრა — მონდომებულები ვართ, დღეს უკვე ვივარჯიშეთ და დიდი იმედი მაქვს, რომ რუმინეთში სამ ქულას მოვიპოვებთ.

**— ფრე არ დაგაკმაყოფილებთ?**

— ბუქარესტში მოსაგებად ჩამოვედით. ამის თქმის საფუძველს თანაგუნდელების განწყობა მაძლევს. ეს შესარჩევი ციკლი მოგებით უნდა ჩავამთავროთ.

**— ნაკრებს თბილისიდან რატომ გაჰყევი?**

— ინგლისის ნაკრებიც შესარჩევი მატჩისთვის ემზადება. „დერბიდან" კი ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში და სხვა ქვეყნების ეროვნულ გუნდებში არიან გამოძახებულნი. გუნდში რამდენიმე ფეხბურთელია დარჩენილი და მწვრთნელმაც ადრე გამათავისუფლა. მე და ქეცბაია თბილისში ერთად ჩამოვედით, დილომში ვვარჯიშობდით.

ახლა მასპინძელთა ნაკრებზე, რომელსაც ჩვენი რუმინელი კოლეგის პოლ ზაქარიას თქმით, ქართველებთან მატჩისთვის მზადება ორშაბათიდან დაუწყია.

მეტოქეს სხვადასხვა მიზეზის გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება — მოლდოვანი, ფილიპესკუ, კონტრა, კივუ, რადოი... თუმც კი რუმინელთა მწვრთნელი გეორგე ჰაჯი მაინც ოპტიმისტურად აცხადებს: „ჩვენ ჯგუფში პირველობა გვწადია და ამისთვის საქართველო უნდა გავანადგუროთ. დიდი შანსია, იტალიამ შინ უნგრეთი ვერ დაამარცხოს და ამიტომ ქართველებთან წაფორხილების უფლება არ გვაქვს. მეტოქეს უეჭველად უნდა მოვუგოთ. ჩვენ ეს შეგვიძლია და ამას მოვახერხებთ კიდეც."

ჰაჯის თურმე განსაკუთრებით ეიმედება ლისაბონის „სპორტინგში" მოთამაშე მარიუს ნიკულაესი, ვინც შესარჩევი ჯგუფის წინა ტურში ბუდაპეშტში უნგრეთს ორი გოლი გაუტანა და თავისიანებს გაამარჯვებინა.

რუმინელთა თავკაცი, რომლისთვისაც ქართველებთან საშაბათო მატჩი მეორეა, სავარაუდოდ, ნიკულაეს თავდასხმაში ადრიან ილიეს შეუწყვილებს.

ვალენსიელმა ფორვარდმა, რომელსაც თამაშის თავისებური სტილის გამო „კობრას" ეძახიან, თბილისშიც ითამაშა, თუმც სულ ოციოდ წუთი და კუნთის ტკივილის გამო შესაცვლელი შეიქნა. ისე კი, რუმინელებს უმისოდაც არ გასჭირვებიათ ქართველთა თბილისში დამარცხება.

— ილიეს მხარდამხარ თავს კარგად ვგრძნობ. ვეცდები, ქართველებთანაც საჭირო დროს საჭირო ადგილზე ვიყო — უთქვამს 80-იან წლებში ცნობილი ძიუდოსტის, კონსტანტინ ნიკულაეს ვაჟს, რომელიც ჭაბუკობაში თავადაც ძიუდოისტობდა და რუმინეთის ჩემპიონიც გამხდარა. მერე კი ფეხბურთში უფრო უმარჯვია და სისწრაფისა და დარტყმის სიზუსტის გამო „ისარიც" შეურქმევიათ.

**ჭოგა ინასარიძე**

# სტეფანია მურნინგის მოადგილეა

MIAMI HEAT

## პატ რაილიმ ქართველ ცენტრს ელიტარული შანსი მისცა

**ახალი** ამბავი ოკეანისგაღმიდან — ერნესტ ბრაუნმა მარჯვენა ცერი ამოიგდო. ნამდვილად არ გეცოდინებათ, ვინაა ერნესტ ბრაუნი, გულწრფელად გეტყვით, ჩვენც მეორედ გვესმის მისი სახელი. იგი წლევანდელი დრაფტის მეორე წრეში



„მაიამი ჰითის" მწვრთნელი პატ რაილი

52-ე ნომრად აუყვანია „მაიამი ჰითს". ამ ჯეელის მსგავსი ყოვლად უმნიშვნელო პირები ათეულობით არიან ნბა-ში. 211-სანტიმეტრიანი და 112-კილოგრამიანი ერნესტ ბრაუნის ამოგდებულმა ცერმა კი, არც მეტი, არც ნაკლები, ნბა-ში მოხვედრილ პირველ ქართველს ვლადიმერ სტეფანიას ცხოვრების ახალი ფურცელი გადაუშალა.

„მაიამის" ხელმძღვანელობას ბრაუნი ერთადერთი ცენტრის, ალონზო მურნინგის სათადარიგოდ ეგულებოდა, ხოლო ვინაიდან იგი შემცვლელის გარეშე დარჩა, ფლორიდული კლუბის მამებმა უგუნდოდ მყოფი ნბა-ს ცენტრები შეათვალიერეს და თვალში „ნიუ ჯერსი ნეთსის" თავისუფალი აგენტი, 213-სანტიმეტრიანი ვლადიმერ სტეფანია მოხვდათ.

დღეს სტეფანია „მაიამი ჰითის" წევრია. კლუბმა კონტრაქტის პირობები არ გაახმაურა, მაგრამ ფაქტია, ქართველმა გუშინწინ, 2 ოქტომბერს, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და ამ დღიდან „მაიამი ჰითის" საკუთრებაა. რა ხნით, ამას მალე შევიტყობთ. ისიც უცნობია, რა ნომრიან მაისურას მოირგებს ვოვა „მაიამიში". „სიეტლში" მას ხუთი ნომერი ეწერა, „ნიუ ჯერსიში" — 50.

სტეფანიამ თავისი სამწლიანი ამერიკული კარიერის პირველი ორი სეზონი „სიეტლ სუპერსონიქსში" გაატარა, ბოლო, მესამე, „ნიუ ჯერსი ნეთსში". ახლა მის კარიერაში ახალი ეტაპი იწყება. ჩვენებურს ამ გუნდში დამკვიდრების და საკუთარი თავის პოვნის შესანიშნავი შანსი აქვს. მართალია, მურნინგი ნბა-ს ცენტრებში ოდენ შაკილ ონილს ჩამოუვარდება, მაგრამ ახლახან განიკურნა თირკმლის ურთულესი დაავადებისგან და ამდენად მისი სათამაშო დრო შეზღუდულია. კარგი მეფარეა ბრაიან გრანტი, არა უშავს ლაფონსო ელისსაც, მაგრამ ისინი თავდამსხმელები არიან, მეორე ცენტრი კი ნებისმიერ გუნდს სჭირდება.

„მაიამი" გამოირჩევა მძლავრი სასტარტო ხუთეულით და... უხეირო სათადარიგოთა სკამით. ასე რომ, დიდი შანსია, ვოვას საკმაო სათამაშო დრო მიეცეს, რაც ჩვენებურს უთუოდ წაადგება გამლიერებაში. ამაში კი სტეფანიას თვით პატ რაილი დაეხმარება, უგამოჩენილესი და მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელი, რომელსაც საკალათბურთო სამყაროში უდიდესი ავტორიტეტი აქვს. პატ რაილი „მაიამის" მწვრთნელობასთან ერთად კლუბის პრეზიდენტიც გახლავთ.

„სიეტლ სუპერსონიქსი" საშუალო გუნდი იყო, „ნიუ ჯერსი ნეთსი" უფრო ცუდი, ვოვა სტეფანიას მესამე გუნდი, „მაიამი ჰითი" კი ელიტარულია. მართალია, წინა სეზონის პლეი ოფში ფლორიდელები პირველივე წრიდან გამოვარდნენ, მაგრამ ეს უფრო შემთხვევითობა იყო. პატ რაილის გუნდები ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ. „მაიამი ჰითის" მიზანიც ესაა. ვლადიმერ სტეფანიას კარგი შანსი აქვს, ამ გუნდის ნაწილი გახდეს.



„მაიამი ჰითის" ახალწვეული ვლადიმერ სტეფანია

**ირაკლი ფირუზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ბარსელონიდან

„ბარსელონა“ — „მალიორკა“. მალიორკელებს ხავიერ სავიოლას შეჩერება უჭირდათ



REUTERS კურიტიბიდან

ტრავმამოშუშებულმა რივალდომ (მარჯვნივ) გუშინ ბრაზილიის ნაკრებში ივარჯიშა და „ბარსელონას“ ვერაფრით დაეხმარა



REUTERS ბილბაოდან

„ბილბაო“ — „ბეტისი“. ხესუს კაპიტანი (მარცხნივ) და ბილბაოელი ხოსე ურუტია



REUTERS ლას პალმასიდან

„ლას პალმასი“ — „რეალი“. ხორხე ლოპესი და „რეალის“ არგენტინელი სანტიაგო სოლარი (ბურთით)

## ესპანეთი

### პირველი დივიზიონი

VI ტური

ვალიადოლიდი 0:1 ესპანიოლი
ალავესი 1:0 მალაგა
სარაგოსა 3:2 სოსიედადი
რაიო ვალეკანო 0:1 ოსასუნა
ბარსელონა 3:0 მალიორკა
ბილბაო 0:0 ბეტისი
ვილარეალი 1:1 დეპორტივო
სევილია 2:0 ტენერიფე
ლას პალმასი 4:2 რეალი

### მეორე დივიზიონი

VII ტური

ბურგოსი 0:0 ხაენი
ოვიედო 0:0 ლეგანესი
ხიმნასტიკი 1:0 ლევანტე
რასინგი 1:1 ეიბარი
ესტრემადურა 1:2 ფეროლი
პოლი ეხიდო 2:4 სალამანკა
მურსია 3:1 სპორტინგი
ხერესი 0:2 ალბასეტე
ელჩე 1:0 ბადახოსი
კორდობა 1:0 ნუმანსია

## გერმანია

### სამხრეთ რეგიონალლიგა

XI ტური

ოფენბახი 2:0 ჰოფენჰაიმი
მანჰეიმი 2:0 დარმშტადტი
ტრირი 2:3 ანსბახი
ელვერსბერგი 0:0 ლაუტერნი (მოყვ.)
ზიგენი 1:1 ერფურტი

## იტალია

### თასის II ეტაპი. I მატჩი

კომო 2:0 ფიორენტინა

## ჰოლანდია

### ამსტელის თასი. II ეტაპი

გრააფშაპი 2:1დ.დ.(ძ) სპარტა

## ფინეთი

### გადადებული მატჩი

ჰაკა 2:2 კუოპიო

## პოლონეთი

### ლიგის თასი. II წრე

ვისლა 4:0 ოსტროვეცი
გურნიკი 1:1 (პენ.3:5) ლეგია
კატოვიცე 1:0 გროცლინი


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109



ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში

ფეხბურთი,
NHL, NBA

☎ 8 22 009000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

# ხელმარჯვე პოროშინი ხელმრუდებმაც გაამწარეს

## კოლხეთს საავადმყოფოდან გამოესარჩლნენ

**ოქტომბრის** პირველი დღე „ტორპედოს" უკრაინელი ლეგიონერისთვის წარმატებულად დაიწყო. ჯერ იყო და მწვრთნელებმა „დინამოსთან" მატჩის სასტარტო შემადგენლობაში დაასახელეს ანდრეი პოროშინი, მერე კი თავად მატჩში ისეთი რამ მოხდა, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა უკრაინელი. პოროშინმა ორი გოლი შეაგდო, მისმა „ტორპედომ" 2:0 გაიმარჯვა და რაღა გასაკვირია, რომ ანდრეი მატჩის გმირი გახდა, მაგრამ დამთავრდა თამაში და უკრაინელის უიღბლობაც აქედან დაიწყო. ჯერ მატჩის ინსპექტორმა პოროშინის პირველი გოლის საფუძვლიანობაში ეჭვი შეიტანა, რასაც სფფ-ის ოფიციალური დადგენილება მოჰყვა. ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა პოროშინის პირველი გოლი ხელით გატანილად ჩათვალა და ფეხბურთელის არასპორტული საქციელისთვის საქმე განსახილველად სადისციპლინო კომიტეტს გადასცა, მერე კი სულაც თავზარდამცემი ამბავი შეიტყო ანდრეიმ — ბოროტმოქმედებს მშობლიურ ჩერკასში მისი ბინა პირწმინდად გაესუფთავებინათ და ფეხბურთელიც იმავე საღამოს თბილისი-კიევის რეისით უკრაინაში გადაფრინდა.

გუშინ კი პოროშინი პირველი ლეგიონერი გახდა საქართველოში, ფეარ პლეის პრინციპების დარღვევაში რომ ამხილეს და გააფრთხილეს.



დისციპლინარებს პოროშინის ხელმა და ფანჩულიძის სიტყვამ საფიქრალ-სამსჯელო გაუჩინა

სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელი სხდომის მთავარი თემა სწორედ „დინამო" — „ტორპედოს" მატჩის 34-ე წუთზე მომხდარი ეპიზოდი იყო. დისციპლინარებმა სპორტისა და ფიზკულტურის აკადემიის რექტორის კაბინეტში ბარე ათჯერ დაატრიალეს აღნიშნული ეპიზოდის ამსახველი ვიდეოფირი და ყველას საერთო აზრი ჩამოუყალიბდა — აბრამიძის ჯარიმიდან დარტყმულ ბურთს პოროშინმა ზოიძის კარში ხელით მიუჩინა ადგილი.

პოროშინი მარადონა არ არის და ეს ეპიზოდი ერთ-ორ კვირაში ალბათ დავიწყებას მიეცემა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ვიდეოჩანაწერზე აშკარად ჩანს, თითქოს უკრაინელს გოლი ხელით გააქვს მაღალ ნახტომში, გადაჭრით იმის მტკიცება, გოლი წესების დარღვევით გავიდაო,



ვახტანგ ხაინდრავა

მაინც უსაფუძვლო მგონია. ეჭვის საბაბს რამდენიმე გარემოება იძლევა.

1. დინამოელები ფაქტობრივად არ აპროტესტებენ გატანილ გოლს, ის კი არა, თავდაპირველად ზოიძემ, ნიშნად ოფსაიდისა ხელი აღმართა. 2. პოროშინმა თუ ხელით გაიტანა, გამორიცხულია, ეს მის შემდგომ მოქმედებას არ დასტყობოდა. ანდრეი ფეხბურთელი კი არა, ნიჭიერი მსახიობი ყოფილა, თუ ასე გამოხატა სიხარული — ვიდეოფირზე აშკარად ჩანს, რომ აღფრთოვანებული უკრაინელი თავქუდმოგლეჯილი მირბის ცენტრისკენ.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ „ეროვნულზე" შეკრებილთა უმრავლესობამ გოლი წესების სრული დაცვით გატანილად ჩათვალა. საფუძველმოკლებული სპეციალისტთა აზრიც არ არის. მათი მტკიცებით, ხელით თამაშის შემთხვევაში ბურთი იმ ტრაექტორიით და სისწრაფით ვერაფრით შევარდებოდა კარში. ვიდეოფირზე აშკარად ჩანს, რომ არბიტრი კვარაცხელია დარტყმის მომენტში სწორ პოზიციაში იმყოფებოდა და სრულად აკონტროლებდა სიტუაციას. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, „დინამოს" კარში წესების დარღვევით გატანილ გოლს ზუგდიდელი არბიტრი ნამდვილად არ ჩათვლიდა.

ასეა თუ ისე, რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, ვიდეოფირზე აშკარად ჩანს, რომ პოროშინს ხელით გააქვს. რაღა დარჩენოდათ, თვალს ენდნენ დისციპლინარები და ფეარ პლეის პრინციპის დარღვევისთვის არასპორტულ საქციელში ამხილეს პოროშინი, გაფრთხილებაც გამოუტანეს ვერდიქტად.

ბუნებრივია, ამ საქმესთან დაკავშირებით საინტერესოა თავად ფეხბურთელის აზრი, რასაც ალბათ ანდრეის სამშობლოდან დაბრუნების შემდეგ შევიტყობთ.

სადისციპლინო კომიტეტს გასარჩევ-გადასაწყვეტი სხვაც ჰქონდა გუშინდელ სხდომაზე.

30 სექტემბერს ეროვნული ჩემპიონატის IX ტურის მატჩში „ვიტ ჯორჯიამ" „კოლხეთს" უმასპინძლა. შეხვედრის 67-ე წუთზე ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში კოლხმა გელა ფანჩულიძემ მასპინძელი დავით დოლიძე მოცელა. დოლიძემ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ფანჩულიძეს. ეს უკანასკნელი მეტოქის გამოხდომას მშვიდად შეუხვდა. ფანჩულიძე გამოცდილი ფეხბურთელია და უმალ გააცნობიერა, თუ რა მოელოდა ხურდის დაბრუნების შემთხვევაში. მოვლენები რომ არ გამწვავებულიყო, მოშუღართ შორის მსაჯები და ფეხბურთელები ჩადგნენ, დოლიძე ფანჩულიძეს გაარიდეს, მაგრამ ვიტელმა კვლავაც გააგრძელა გინება, მერე კი კოლხსაც უმტყუნა ნერვებმა და მანაც გაიწია მეტოქეზე, აქ კი ზუგდიდელი არბიტრი კახაბერ მესხი ჩაერია საქმეში და ორივე ფეხბურთელი წითელი ბარათით დასაჯა.

ამასთან დაკავშირებით გუშინდელ სხდომაზე დასასწრებად თავისი ინიციატივით ჩამოვიდა ფოთიდან „კოლხეთის" ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა. მისი განცხადება გარკვეულწილად სკანდალურიც გახლდათ:

„ოთხი დღის წინ ავარიაში მოვყევი და პირდაპირ საავადმყოფოდან მოვდივარ. მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია ფოთელებს. ჩვენს წინააღმდეგ ბინძური მეთოდებით მოქმედებენ. მიმდინარე ჩემპიონატში უკვე მეოთხედ გაგვწირეს მსაჯებმა. ასე გაგრძელება არ შეიძლება. ფოთის პორტს გუნდის შენახვა ყოველწლიურად 900 ათასი ლარი უჯდება. გამოდის, ეს ფული წყალში იყრება. ამგვარი დასკვნის საფუძველს თუნდაც მესხის მოქმედება გვაძლევს. მისი საქციელი ყოველგვარ ზღვარს სცილდება".

ხაინდრავამ ისიც თქვა, დღეს ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ ტუქსავდა ჩოლარია მესხს ფანჩულიძის გაძევებისთვისო. თუ სფფ-ს ჩინოსანი ამ აზრის არის, გთხოვთ, იგივე თქვენც გაითვალისწინოთო, დაასკვნა სათქმელი „კოლხეთის" წარმომადგენელმა.

ამის მერე კიდევ ერთი ვიდეოგარჩევის დრო დადგა. აღნიშნულ ეპიზოდში კარგად ჩანს დოლიძის ზღვარგადასული გაავება და ფანჩულიძის პროფესიონალიზმი, თუმც ერთ-ერთ მომენტში კოლხი მართლაც იშვერდა ხელს მოწინააღმდეგისკენ. ის ეპიზოდი სხდომაზე სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის წარმომადგენელმა და „ვიტ ჯორჯია" — „კოლხეთის" ინსპექტორმა ოთარ გუნთაძემ ასე გაახმოვანა: „ვის აგინებ, შე საპლიაკო". გუნთაძის თქმით (საფუძველი არ არსებობს, მის სიტყვებში ეჭვი შევიტანოთ), ფანჩულიძემ მხოლოდ ამ სიტყვებით გამოხატა დოლიძისადმი თავისი აღშფოთება, რაც მესხისთვის საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ორივე ფეხბურთელი გაეძევებინა.

ამ ეპიზოდის გარჩევისას დისციპლინარები ჩიხში მოექცნენ. ფაქტი იყო, რომ მათ მსაჯისგან თანაბრად დასჯილი ფეხბურთელებისთვის სხვადასხვა ვერდიქტი უნდა შეეფარდებინათ. ასეც მოხდა. თხუთმეტწუთიანი კამათის შემდეგ სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა დოლიძე ორი, ხოლო ფანჩულიძე ერთი მატჩით ჩამოაშორეს ჩემპიონატს. ფეხბურთელები შესაბამისად 100 და 50 ლარსაც გადაიხდიან ჯარიმის სახით.

გუშინდელ სხდომას სტუმარი ჰყავდა წნორიდანაც. მარიამ ფირცხალაიშვილი აპრილში „გურია" — „მილანის" მატჩში მომხდარი ინციდენტის გამო 8 თვით ფეხბურთიდან მოკვეთილი მილანელი პაატა გამცემლიძის ამნისტიას ითხოვდა. დისციპლინარები ვერაფრით შეეწივნენ ქიზიყელ ქალბატონს — ეს საკითხი აღმასკომის გადასაწყვეტიაო, ბრძანა სხდომის თავმჯდომარე გურამ ძაგანიამ.

სხდომაზე ორ-ორ მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს „სამგურალი" — „დინამოს" მატჩის არბიტრის სიტყვიერად შეურაცხმყოფელ იმერლებს — დარსაძე და ფრანგიშვილი ჯარიმის სახით 100-100 ლარსაც გადაიხდიან. იმავე მატჩის ბოლოს კვარაცხელიას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის „სამგურალის" ერთ-ერთ მწვრთნელ იასონ ბზიკაძეს კი მოგვიანებით გაასამართლებენ. მოგვიანებითვე განიხილავენ წყალტუბოელი ქომაგების უდისციპლინო საქციელსაც.

გუშინ დისციპლინარებმა ბოლო გაფრთხილება მისცეს ქუთაისის და რუსთავის სტადიონების ხელმძღვანელებს. „ტორპედო" ქვასროლია ქომაგთა გამო 300 ლარით დაჯარიმდა. „ფოლადზე" კი „გორდა" — „ლოკომოტივის" მატჩისას რუსთაველი კლუბის წარმომადგენელ ალექსანდრე ბუკიას მსაჯთა ოთახში შეჭრა დებულების დარღვევად ჩაუთვალეს და რუსთაველი სარბიელი შესაბამისად 200 ლარითაც დაზარალდა.

ბოლოს იმ ცალკეულ გადაწყვეტილებებზეც ვთქვათ, გუშინდელი ორსაათიანი სხდომისას რომ გამოიტანეს დისციპლინარებმა:

29 სექტემბერს „ცხინვალი" — „მილანის" მატჩისას მერაბ ნასუაშვილი და გიორგი ჩიტაური ერთმანეთს წაეკიდნენ. მსაჯმა მოშუღარნი მოედნიდან დაითხოვა. შედეგად ისინი ორ-ორ მატჩში გამოაკლდებიან ჩემპიონატს და 100-100 ლარსაც გადაიხდიან. ანალოგიურად დაისაჯა სტუდენტი ერეკლე მერებაშვილიც. „ლოკომოტივი 3"-თან მატჩისას მოედნიდან ორი გაფრთხილებით გაძევებულმა ფეხბურთელმა გზად მსაჯებს აგინა. ბოლნისში „სიონი" — „გორდას" შეხვედრისას არბიტრისგან დასჯილი რუსთაველი ბექაური უსიტყვოდ გაემართა გასახდელისკენ, ამიტომ მხოლოდ ერთმატჩიან და 50-ლარიან ჯარიმას დააჯერეს.

„მეტალურგი" — „სამტრედიას" სათასო მატჩისას ტრიბუნიდან ნასროლი ქვა ბედად ასცდა თანამსაჯ გოჩა ცირდავას. იმ დღეს ზესტაფონელებს მეტი აღარ უსვრიათ, ამიტომაც გადარჩა მათი გუნდი იოლად. სადისციპლინო კომიტეტმა ზესტაფონურ სარბიელს მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება აკმარა.

**ბაათა ძგანტალიანი**

# მამუკა აბუსერიძემ დინამოში გივი ნოდია შეცვალა

## ჩივილის ეპოქა დასრულდა

**ჯერჯერობით** ვერ მიდის კარგად თბილისის „დინამოს" საქმეები, თუმც გუნდის დამრიგებელი ირწმუნება, სწორ გზაზე ვდგავართო. გივი ნოდია აქამდე რეგიონულ ლიგაში მოთამაშე „დინამოსაც" ედგა სათავეში და ცოტა არ იყოს, უცნაურიც გახლდათ, რომ კლუბის პირველ და მესამე გუნდებს გივი ნოდია და მისი თანაშემწე გოჩა ტყებუჩავა წვრთნიდნენ. თანაც გივი ნოდია ბოლო დროს დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოექცა — „დინამოს" საქართველოში საუკეთესო პირობები აქვს, მაგრამ მხოლოდ მეექვსე ადგილზეა. ერთი სიტყვით, გივი ნოდიას ტვირთი შეუმსუბუქეს და „დინამო 3" მამუკა აბუსერიძეს ჩააბარეს. 80-იანი წლების თბილისის „დინამოს" ყოფილ მეკარეს ეროვნულ ჩემპიონატშიც უთამაშია ლანჩხუთის „გურიაში" და „არსენალში", ახლა კი დამოუკიდებელ სამწვრთნელო კარიერას რეგიონულლიგური „დინამოთი" დაიწყებს.

გივი ნოდიას „დინამოშიც" არის სიახლე. გუშინ გუნდთან ერთად ტრავმის შემდეგ პირველად ივარჯიშეს ზაზა ზირაქიშვილმა და ვახტანგ იაგორაშვილმა. მწვრთნელს მათი დიდად ეიმედება და მართლაც, ეს ორი ფეხბურთელი ხომ ერთობ გააძლიერებს გუნდის წინა ხაზს. „დინამოს" მომდევნო მატჩი 9 ოქტომბერს ელის სტუმრად ფოთის „კოლხეთთან" და შინ „ტორპედოსთან" შერცხვენის შემდეგ, ალბათ, გაორკეცებული შემართებით გავა მინდორზე უხერხულ მეტოქესთან — ზირაქიშვილ-იაგორაშვილით გაძლიერებული „დინამოს" დამრიგებელი ალბათ ველარაფერზე დაიჩივლებს.



მამუკა აბუსერიძე

**დავით თაყართქილაძე**

# ბათუმელები რუსულ სკამებზე დასხდებიან

ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე კვლავ სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო, უკვე მეორედ 1995 წლის შემდეგ.

ალბათ, გახსოვთ, ექვსი წლის წინ, როცა ევროტურნირზე „ბათუმს" დებიუტი ჰქონდა, ახალი, იმდროინდელი სტანდარტების შესაბამისი სტადიონიც მაშინ დაჭაშნიკდა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბათუმის განახლებულ სტადიონზე „ბათუმ" — „ობილიჩის" დრამატული მატჩის წინადღეს, „სამტრედიას" ჰქონდა მაკედონიურ „ვარდართან" წარუმატებელი ევროპული დებიუტი.

მაშინ ბევრი ლაპარაკობდა ბათუმური სტადიონის სიკოხტავეზე და მართალიც იყო, ისეთი სარბიელი ბარე ორი კლუბისა და ქვეყნისთვის სამაგალითო გახლდათ. თუმც ნელ-ნელა ყველაფერი მოძველდა, ბათუმურმა წვიმამ სტადიონის სათავსოებამდეც ჩააღწია და იქაურობაც ასი წლის წინანდელს დაემსგავსა.

ახლა კი ბათუმელებმა ისევ გადაწყვიტეს სტადიონის რეკონსტრუქცია, რის შემდეგადაც ტრიბუნებიც მეტ ქომაგს დაიტევს და დასაჯდომი ადგილი ორი ათასით მოიმატებს, 18-ის ნაცვლად 20 ათასი სკამი დამონტაჟდება, სკამები ბათუმელთათვის მოსკოვის მერიას უჩუქებია. შეიცვლება სამთავრობლო ლოჟის მდებარეობაც, ჩინოსნები საპირისპირო ტრიბუნაზე მოკალათდებიან. განახლდება ყველა სათავსო, გასახდელი თუ საპრესკონფერენციო დარბაზი და ბარი. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თანამედროვე სტადიონისთვის საჭირო და აუცილებელია.

სხვათა შორის, ბათუმის სტადიონი 1936 წელს გაიხსნა, 1984 წელს კი მისი ტევადობა 12 ათასი იყო.

**კოგა ინასარიძე**

# შოთას სიტყვა

**შესუსტებული** შემადგენლობით გაემგზავრა ბუქარესტს საქართველოს ეროვნულ ნაკრები შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩისთვის — „შინდისფერები" ორ ფორვარდს მოისაკლისებენ, გიორგი დემეტრაძესა და შოთა არველაძეს. რეინჯერსელი ქართველის ჩამოუსვლელობის ზუსტი მიზეზი ნაკრების ხელმძღვანელობისგან ვერ შევიტყვეთ, ჰოდა, გუშინ თვით შოთა არველაძეს შევეხმიანეთ გლაზგოში.

— რუმინეთთან მატჩისთვის ჩემი ჩამოსვლა-არჩამოსვლის თაობაზე მე და ალექსანდრე ჩივაძემ ვისაუბრეთ, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მივიღეთ. საქმე ის არის, რომ ტრავმა ბოლომდე ვერ მოვიშუშე, ფეხის კუნთი კვლავ მიბუჟდება და სრულად გამოჯანმრთელებული არ ვარ. როცა უნგრეთ-ლიტვას მატჩების შემდეგ გლაზგოში დაშავებული ჩავედი, ვიჩქარე და ვარჯიში ერთ კვირაში დავიწყე. სწორედ ამის გამო გამირთულდა ტრავმა და რამდენიმე დღეა, რაც ვარჯიში განვაახლე. რუმინეთთან მატჩი რაიმე შანსს რომ გვიტოვებდეს, კუნთი სულ რომ გამეგლიჯოს, მაინც ვითამაშებდი.

**დავით თავართქილაძე**



გია ახალაძის ფოტო

6 ოქტომბერს შოთა არველაძე (ბურთით) და იულიან ფილიპესკუ ერთმანეთს ვერ შეხვდებიან

# ჟიული შარტავას თასი შუაზე გაჭრას გადაურჩა

**კვირას** სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" დასრულდა ჟიული შარტავას თასის გათამაშება. ამ ტურნირს უკვე ოთხი წელია აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ატარებს. წლეულს გათამაშებაში ათი გუნდი ჩაერთო. ჯგუფური ეტაპისა და ნახევარფინალების შემდეგ კი ფინალური მატჩის მონაწილენიც გამოვლინდნენ. თუმც მანამდე ისიც აღვნიშნოთ, რომ მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სოხუმის თეატრმა შრომისა და დასაქმების სამინისტროს გუნდს სძლია.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ შარშანდელი გამარჯვებული შსს და უნივერსიტეტი წარსდგნენ. მატჩს სჯიდა ანატოლი მილჩენკო. შეხვედრა ძალიან დაძაბული და ამასთან, საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა. ანგარიში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა გია ძაგანიამ გახსნა, თუმც სტუდენტებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა. ამის შემდეგ ორივე გუნდს ჰქონდა კარის დალაშქვრის შანსი, მაგრამ საყაიმო ანგარიში შეხვედრის ბოლომდე არ შეცვლილა. ასევე განვითარდა მოვლენები დამატებით დროშიც და საბოლოოდ გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია გახდა საჭირო. თუმც ჩემპიონის ვინაობის გარკვევას არც აქ დაადგა საშველი. მოთამაშეებმა უამრავი პენალტი დაარტყეს, მაგრამ ხან ერთ გუნდს არ უმართლებდა, ხან — მეორეს. სწორედ ამ დროს გაუზიარა განვითარებული მოვლენების ცქერით დაღლილმა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ტურნირის ორგანიზატორებს თავისი „გენიალური" აზრი, თასი შუაზე გაჭერით და ორივე გუნდს გადაეცითო. თუმც სტუდენტთა კაპიტანმა გია ჩიქოვანმა ყველაფრის დასრულება „ითავა" — მისმა გაცუდებულმა პენალტმა თასი შსს-ს გუნდს ჩააბარა.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე: „უკვე მეოთხე წელია, რაც ჟიული შარტავას თასის გათამაშებას ვატარებთ. ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. მინდა, მადლობა გადავუხადო ტურნირში მონაწილე გუნდებსა და იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც სხვადასხვა პრიზი დააწესეს. ასევე მინდა, მივულოცო შსს-ს გუნდს ზედიზედ მეორედ გაჩემპიონება".

**ბაჩა ზალამბერიძე**




# იყიდება

☎ (231) 71758

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ²
პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7.
კინოთეატრ "სულიკოსთან"


„ჩვენ გვექნება დრო, კიდევ მოვითათბიროთ. მე და კლუბის პრეზიდენტი ჩემს გამგზავრებამდე დავილაპარაკებთ, ვინ უფრო უკეთესი კანდიდატი იქნება და „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელის ვინაობაც ორ დღეში გაირკვევა" — განაცხადა „სარბიელთან" ბოლო ინტერვიუში ჯანი კარნევალიმ.

ვერ გეტყვით, ითათბირა თუ არა გურამ რუხაძემ იტალიელთან, მაგრამ ფაქტი ერთია, კარნევალის გამგზავრებამდე ვიტელთა ახალი თავკაცის ვინაობა ცნობილი იყო. პირველი ეტაპის ბოლომდე „ვიტ ჯორჯიას" მესაჭე სერგო გაბელაია იქნება. მერე კი ყველაფერი შედეგზეა დამოკიდებული, ივარგებს გაბელაია და კლუბთან კონტრაქტიც გახანგრძლივდება, არადა...

ძალიან ძნელი მოსახელთებელი კი გამხდარა ვეტერინართა ახალი თავკაცი. დილით შინ შევეხმიანეთ, ვარჯიშზეაო, გვითხრეს. შუადღისას კლუბის ოფისში ვცადეთ მასთან დაკავშირება და მცხეთაშია, თსუ-ს თამაშზეო. საღამოს ისევ ვარჯიში. გაბელაია გუშინ ღამე ოჯახში მოვიხელთეთ და ინტერვიუც შედგა.



სერგო გაბელაია

# გაბელაია ჯანდაცვაში რეფორმებს აპირებს

**— თქვენ „ვიტ ჯორჯიას" თავკაცად დაგნიშნეს თუ მთავარ გუნდთან ერთად ფარმ-კლუბისა და თსუ-ს გაწვრთნაც გევალებათ?**

— თსუ არაფერ შუაშია, მით უფრო მწვრთნელი ჰყავს. უბრალოდ, დღეს სტუდენტთა თამაშის სანახავად ვიყავი მცხეთაში. „ვიტ ჯორჯიასა" და მისი ფარმ-კლუბის თავკაცი კი მე ვარ. დილით პატარებთან მაქვს ვარჯიში, საღამოს მთავარ გუნდთან. პირველი ეტაპის ბოლომდე ასე იქნება, მერე ვნახოთ.

**— ყოველივე თქვენგან დიდ ენერგიას წაიღებს. როგორ ფიქრობთ, ორივე გუნდს გასწვდებით?**

— ფიზიკურად შესანიშნავად ვარ მომზადებული. ჩინებული სეზონისწინა შეკრება გავიარე. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ორივე გუნდის თავკაცობის იდეა კლუბის ხელმძღვანელობისგან წამოვიდა და მე საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. კლუბში იქნება ერთიანი სავარჯიშო სისტემა, ერთი და იგივე ტაქტიკა და ერთი სატრანსფერო პოლიტიკა. გეთანხმებით, სამუშაო თავზესაყრელია, მაგრამ კლუბის თავკაცებისგან სრულ მხარდაჭერას ვგრძნობ. გუნდის პერსონალი, ფეხბურთელები, ყველანი ერთად დავდგებით და მიზნის მიღწევა ერთიორად გაგვიიოლდება.

**— ხელმძღვანელობა თქვენგან რას მოითხოვს?**

— მიზანი ერთია, მისი განხორციელების გზები სხვადასხვა. ყველაფერს დრო სჭირდება. მეც ორი დღეა, გუნდი ჩავიბარე, გუშინ კი პირველი ვარჯიში ჩავატარე. ვითარებაში გასარკვევად დრო ვითხოვე, თუმც „ვიტ ჯორჯია" საპრიზო ექვსეულში რომ უნდა მოხვდეს, ფაქტია.

**— გუნდის დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე, რეალურია ვიტელთა ექვსეულში მოხვედრა?**

— რა თქმა უნდა, რეალურია. მხოლოდ ქულა გვაშორებს ექვსეულისგან. „ვიტ ჯორჯიას" კი საკმარისი რეზერვი გააჩნია, შესაძლებლობა რეალობად აქციოს.

**— გუნდს უკვე შეხვდით, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— პირველი ვარჯიშის შემდეგ უკმაყოფილების საბაბი არ მქონია. უკლებლივ ყველა მოთამაშე წვრთნისას ბოლომდე, უსიტყვოდ დაიხარჯა. ვარჯიშზე ისინიც კი იყვნენ, ვისაც კარნევალი არ სწყალობდა. მათ შანსი აუცილებლად მიეცემათ, თუმც უფრო ლოიალური დამოკიდებულების იმედი ნუ ექნებათ. დისციპლინა კიდევ უფრო გამკაცრდება, თორემ კარნევალისეულს არაფერი მოაკლდება.

**— იტალიელის და გაბელაიას საფეხბურთო მსოფლმხედველობა თუ ემთხვევა ერთმანეთს? თუ არადა, გუნდის სათამაშო სტილის შეცვლა მოგიწევთ.**

— ძალიან ხშირად არა, მაგრამ არცთუ იშვიათად მე და ჯანი კარნევალი კლუბის ოფისში საკმაო ხანს ვსაუბრობდით ფეხბურთზე. მას თავისი შეხედულება ჰქონდა და გუნდსაც იმის მიხედვით ათამაშებდა. კარნევალი ხაზზე განლაგებულ სამ მცველს ანიჭებდა უპირატესობას. ხუთი ნახევარმცველიდან ორი ფლანგებს აკონტროლებდა, ორიც საყრდენი იყო, ხოლო ერთი თავდამსხმელების უკან თამაშობდა. შეტევაში ორი თავდამსხმელი მოქმედებდა. იყო მატჩები, სადაც იტალიელმა 3-4-3 ტაქტიკური სქემა გამოიყენა.

კარნევალისგან ბევრი კარგის გადმოღება შეიძლება, მისი დანერგილი შეტევი სტილიც არ შეიცვლება, მაგრამ სათამაშო სქემას მე მეტოქის სიძლიერის გათვალისწინებით და იმის მიხედვით შევარჩევ, თუ სად ითამაშებს „ვიტ ჯორჯია", შინ თუ სტუმრად.

**— მომდევნო კვირას თქვენი, როგორც „ვიტ ჯორჯიას" მესაჭის დებიუტი ლანჩხუთში „გურიასთან" მატჩში შედგება. რას ჰპირდებით ვიტელ ქომაგებს?**

— ბრძოლას, მოედანზე მოსაგებად გასვლას. დანარჩენს კი თავად მატჩი გამოაჩენს.

**გამუკა ძგანტალიანი**

# დერბის ღირსება ჩემპიონობის დაკარგვად დაუჯდა

**ალბათ** გახსოვთ, შუა ზაფხულში, მიხეილ მესხის თასის ფინალში დატრიალებული ამბები. ეს ტურნირი 1986 წელს დაბადებულთა შორის გაიმართა და ფინალის საგზური „ოლიმპიკთან" ერთად „ავაზამ" მოიპოვა. გადამწყვეტ მატჩს „ლოკომოტივის" სტადიონმა უმასპინძლა. „ავაზამ" შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე 2:0 დაწინაურებულ მეტოქეს ერთი ბურთი კი გაუქვითა, მაგრამ მეტის გაკეთება არ დასცალდა. პატარა ბიჭების „დახმარება" მავანმა ვაიგულშემატკივარმა სცადა და გვერდით არბიტრ ზურაბ დოლიძეს ცემაში ხელიც მოსტეხა. რამდენად ჩაეთვალა ეს საქციელი მავანს დახმარებად, მოგვიანებითაც კარგად გამოჩნდა — „ავაზას" 0:3 წაგება ჩაეთვალა.

ყოველივე ამის გახსენება კი იმიტომ დაგვჭირდა, რომ მესხის ტურნირიდან რამდენიმე დღეში ერთი წლით უმცროსი ასაკის ფეხბურთელთა შორის სლავა მეტრეველის თასის ფინალი უნდა გამართულიყო. აქ კი ჩემპიონობას ერთმანეთს „დერბი" და... „ავაზა" ეცილებოდნენ.

ფინალის ჩაუტარებლობის მიზეზიც სწორედ „ავაზა" გახდა. თავიდან ითქვა, „ავაზას" აქაც 0:3 წაგება ჩაეთვალესო, თუმც „დერბის" მთავარმა მწვრთნელმა გელა გომელაურმა მაშინვე განაცხადა, ასეთი ჩემპიონობა რა ჭირად მინდაო. ფედერაციამაც, თითქოს გომელაურს უსმინაო, მართებული გადაწყვეტილება მიიღო — მატჩი გადადო.

ამ შეხვედრის ჩატარება მხოლოდ 1 ოქტომბერს მოხერხდა. მატჩს ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა. ამჯერად ექსცესები არ ყოფილა. გავეშებულმა ავაზელებმა საქმეს თავიდანვე მოჰკიდეს ხელი და „დერბი" დიდი ანგარიშით, 3:0 დაამარცხეს. ამგვარად, სლავა მეტრეველის თასი ერთი წლით მათი საკუთრება გახდა.

არ უნდოდა გომელაურს უღირსი ჩემპიონობა, არც ერგო.

**ბაჩა ზალამბერიძე**

29 წლის ზინედინ ზიდანი, რომელიც ამ ზაფხულს „რეალმა“ „იუვენტუსისგან“ 66 მილიონ დოლარად იყიდა, ნელ-ნელა ეჩვევა ახალ კლუბს. პირველი ჯილდო „რეალთან“ ერთად მან უკვე მოიგო. ესპანეთის სუპერთასზე „მეფეებმა“ „სარაგოსას“ მოუგეს. თუმცა პრიმერადივიზიონში მისი დებიუტი ჩვეულებრივი და ცოტა უსახურიც გამოდგა. ახლა, ეტყობა, საქმე უკეთესობისკენ მიდის. ხუთი ტურის შემდეგ ზიდანმა სამი გოლი გაიტანა და ჯერჯერობით ბომბარდირთა შორისაც ტრიალებს. მაგრამ მისი მთავარი მოვალეობა მაინც გოლის შექმნაა და არა გატანა. მადრიდელებსაც სჯერათ, რომ ფრანგი ჯადოქარი მალე ჩვეულად გაიბრწყინებს და მერე „რეალს“ წინ ველარავინ დაუდგება. ზიდანი არ მალავს, რომ მთავარი მიზანი წლეულს ჩემპიონთა თასის მოპოვებაა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს ხომ ეს ჯილდო არასოდეს მოუგია. ბედის ირონიით, შარშანდლიდან გადმოყოლილი ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო მას ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის თითქმის მთლიანად გამოტოვება უწევს, თუმცა „რეალი“ უმისოდაც იოლად აგვარებს საქმეს, პირველი წრის სამივე თამაში მოიგო და ანი რალა ღმერთი გაუწყრება. ჩემპიონთა თასი „რეალისთვის“ მართლაც პრიორიტეტია, თანაც ფინალი გლაზგოს „ჰემპდენზე“ ტარდება, სადაც დი სტეფანოსა და პუშკაშის თაობის დიდმა „რეალმა“ 1960 წელს ფრანკფურტის „აინტრახტს“ 7:3 მოუგო. ის ფინალი თასის ისტორიაში ყველაზე შთამბეჭდავად ითვლება, „რეალი“ კი საუკუნოვანი იუბილეს საზეიმოდ ემზადება. ამიტომ კლუბის პრეზიდენტი „ოცნების გუნდს“ ქმნის: „ამას წინათ ფიფამ მეოცე საუკუნის კლუბის ჯილდო გადმოგვცა. ეს ტიტული ახალ ასწლეულშიც უნდა შევინარჩუნოთ“ — ამბობს ფლორენტინო პერესი. ზიდანი კი ეჩვევა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ზიზუს „ფრანს ფუტბოლმა“ ჩამოართვა.




# ციხიდან გამოსული ზიდანის ამბავი

**— „რეალში“ გადასვლის შემდეგ წყნარი, თითქოს უდარდელი კაცის იერი დაგკრავთ. ეს „ახალი ზიდანის“ სტილია?**

— არა. რაც ვიყავი, იგივე დავრჩი. უბრალოდ, ბედნიერი ვარ, რომ დიდ „რეალში“ ვთამაშობ. აქაურ ფეხბურთელებთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა. ამიტომაც დიდი ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობ. პირველი დღიდანვე ძალიან მეგობრულად შემხვდნენ და მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**— „რეალში“ ბევრი ვარსკვლავი თამაშობს და ყველას თავისი ადგილი აქვს. ხომ არ გიჭირთ დამკვიდრება?**

— რაც უნდა იყოს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გახლავართ, თანაც „რეალში“ სხვა დიდი კლუბიდან მოვედი. ცხადია, ახალ პარტნიორებთან და პუბლიკასთან ავტორიტეტის მოპოვება კიდევ მომიწევს. ყველაფერს დრო სჭირდება. მაგრამ ვიმეორებ, აქ თავიდანვე ვიგრძენი თანაგუნდელებისა და კლუბის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ახალი და ცნობილი ფეხბურთელების გამოჩენა „რეალში“ ჩვეულებრივი ამბავია.

**— როგორ ფიქრობთ, რაულის, ფიგუსა და რობერტო კარლოსის გვერდით თამაშისას განსაკუთრებულ სიამოვნებას იღებთ?**

— ჯერ კიდევ კონტრაქტის ხელმოწერამდე წარმომედგინა როგორ ვითამაშებდი „რეალში“. ვფიქრობ, აქ ჩემს სათამაშო იდეებს სრულად შევასხამ ხორცს. შემტევი ფეხბურთი, სპექტაკლი, რომელიც ფინტებით, ლამაზი პასებითა და დარტყმებითაა გაჯერებული, ეს სტილი, რომელიც „რეალს“ ათწლეულობით მოსდევს, ბოლო წლებში განსაკუთრებით გამოიკვეთა. ჩემთვის ეს ახალი ეტაპია, რადგან იტალიაში ყველაფერი დაცვაზე და ფიზიკურ მომზადებაზეა დაფუძნებული. თუმცა ისეთ ადამიანს ნუ შემადარებთ, ვინც შემოქმედების ერთ სახესაა მიჩვეული და ახლა ძველი ჩვევების დავიწყება უწევს. ყველაფერი პირიქითაა, ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ციხეში ვიჯექი და გამანთავისუფლეს. ტყუილად როდი ვამბობდი ხოლმე, რომ სეზონის დასაწყისში ყოველთვის მიჭირდა „იუვენტუსის“ სტილთან შეგუება, თუმცა გარშემო კარგად ნაცნობი ფეხბურთელები ტრიალებდნენ. საერთოდ, იტალიურ ფეხბურთს რთულად შევეთვისე და მიხარია, რომ ნელ-ნელა ვივიწყებ.

**— ძალიან მკაცრად ხომ არ სჯით კალჩოს?**

— ხუთი წელიწადი ჩინებულ კლუბში გავატარე და მასთან ერთად ბევრსაც მივაღწიე, მაგრამ ყოველთვის მინდოდა ერთ მშვენიერ დღეს ესპანეთში გადავბარგებულიყავი და ასეთი სურვილი ყოველ წელს მემატებოდა. ტურინული კლუბის ბოსებს ჩემი წასვლის შესახებ გაგონებაც არ სურდათ, მაგრამ ბოლოს მოსახდენი მაინც მოხდა.

არ ვამბობ, რომ ესპანეთში იტალიაზე ადვილი იქნება თამაში. გახსნილ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ, მაგრამ არც ესპანელი მცველები არიან ანგელოზები. ჯერ ვეჩვევი, თუმცა მგონია, რომ „რეალს“ უკვე შევეთვისე და საბოლოოდ არ გავწბილდები.

**— „რეალთან“ ერთად რისი იმედი გაქვთ?**

— დავიწყოთ იმით, რომ სულ მცირე, სეზონის ერთ ჯილდოს მაინც მოვიგებთ. 1997-ში, როცა „იუვენტუსი“ საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავდა, გუნდს სკუდეტოს მოპოვებაში დავეხმარე. გაისად ასი წლისა „რეალი“ ხდება და ძალიან მინდა, ეს ზეიმი ყველანაირად სავსე იყოს. ეს ისე, სიტყვისთვის, თორემ იუბილე ხომ არ არის მთავარი.

**— მთავარი მიზანი მეცხრე ჩემპიონთა თასია?**

— ყველა მიზანი მთავარია. „რეალთან“ ერთად ყველაფრის მოგება მსურს და ეს მხოლოდ ამბიცია არ გახლავთ. ვფიქრობ, დღევანდელი შემადგენლობითა და თამაშით „რეალმა“ ნებისმიერ მოწინააღმდეგეს უნდა აჯობოს. მე კი უნდა დავამტკიცო, რომ ჩემში ამდენი ფული ტყუილად არ გადაიხადეს. თანაც ჩემპიონთა ლიგის ორ ფინალში უკვე დავმარცხდი, ერთხელ, სხვათა შორის, „რეალთან“... გამოდის, თქვენ მართალი ხართ, მთავარი მიზანი ჩემპიონთა თასია.

**— „რეალი“ მართლაც საუცხოოდ არის დაკომპლექტებული, მაგრამ ეს პასუხისმგებლობასაც ზრდის. ასეთი შემადგენლობის გუნდს წაფორხილების უფლება აღარ აქვს.**

— მართალია, მაგრამ ეს ტვირთი „რეალს“ ყოველთვის ამძიმებდა. ესპანეთში, ევროპასა თუ მთელს მსოფლიოში „რეალის“ დამარცხება ნებისმიერი გუნდისთვის ღირსების ამბავია, ამიტომ მის წინააღმდეგ განსაკუთრებულად მომართულები თამაშობენ ხოლმე. აქ ეს ყველამ იცის და ნებისმიერი სირთულისთვის მზად არიან. ასეთი განწყობა ჩემთვისაც ნაცნობია, „იუვენტუსი“ და საფრანგეთის ნაკრებიც ხომ უდიდესთა შორის არიან.

**— ჯერ იყო ფიგუ, ახლა თქვენ. გაისად „რეალი“ ალესანდრო ნესტასა და პატრიკ ვიეირას ყიდვასაც აპირებს. ჩანს, „სამეფო კლუბისთვის“ ზღვარი არ არსებობს და ნებისმიერი მოთამაშის გადაბირება შეუძლია. ლამის ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დიდ ფეხბურთელად ჩაითვლება ის, ვინც „რეალში“ თამაშობს. „რეალის“ მაისურა უმაღლესი ხარისხის ნიშანია.**

— ეტყობა მადრიდში დროულად გადმოვსულვარ. ალბათ ის ოთხი წელიწადი, რომელიც კონტრაქტის თანახმად „რეალში“ უნდა გავატარო, ჩემს კარიერაში ბოლო იქნება. კარიერის მწვერვალზე დასრულებას კი, აბა, რა სჯობს.

კლუბის მომავალ გეგმებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, თუმცა თუ თქვენი ნათქვამი გამართლდება, ბედნიერი ვიქნები. ვიეირასთან ერთად თამაში ერთი სიამოვნებაა. ვნახოთ...

# ფლორენტინო პერესის ოცნებას სამი [illegible]

„სამეფო კლუბის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ამას წინათ გამოაცხადა, აი, ასეთ „რეალს“ ვნატრობო და თერთმეტი ფეხბურთელი დაასახელა. ჩვენც ჩამოვთვალოთ: იკერ კასილიასი, მანუელ პაბლო, ფერნანდო იერო, აიტორ კარანკა, რობერტო კარლოსი, ივან ელგერა, ზინედინ ზიდანი, პატრიკ ვიეირა, ლუიშ ფიგუ, რაული და პატრიკ კლუივერტი.




ფლორენტინო პერესი

შევნიშნოთ, რომ ამ თერთმეტიდან რვა ისედაც რეალელია, მათ შორის ორი, ლუიშ ფიგუ და ზინედინ ზიდანი, უშუალოდ პერესის დამსახურებით მოხვდა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ — პერიპეტიები გეხსომებათ.

დარჩა სამი. მანუელ პაბლო რამდენიმე დღის წინ ისე მძიმედ დაშავდა, რომ ალბათ მთელ სეზონს გააცდენს. პერესმა დეპორტივოელი, ალბათ, მანამდე შეიყვანა „ოცნების გუნდში“, თორემ ძალიან საეჭვოა, ფეხმოტეხილი ფეხბურთელისთვის ასე ხელაღებით დაედგა თვალი.

პატრიკ ვიეირას „რეალში“ შესაძლო გადასვლაც არ არის ახალი ამბავი, თუმცა ფრანგსაც არაერთხელ განუცხადებია, „არსენალში“ თავს კარგად ვგრძნობო და მიუხედავად იმისა, რომ მისთვის დიდი პატივია „რეალის“ ფორმით თამაში, ჯერჯერობით მაინც „ჰაიბერიზე“ აპირებს დარჩენას.

და კიდევ პატრიკ კლუივერტი. როგორც პერესმა გაამხილა, ჰოლანდიელი მისთვის ყველაზე გემრიელი ლუკმაა. ჯერ ერთი, რომ პატრიკი ძლიერი თავდამსხმელია და ამასთანავე წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ პერესი მეორე ბარსელონელის გადაყვანასაც შეძლებს „რეალში“. ზაფხულში ხმებიც დაირხა, კლუივერტი „ბარსას“ შემოსწყრა და მადრიდში წასვლით აპირებს შურისძიებასო, თუმც ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბოლო ცნობით ჰოლანდიელი სულაც არ აპირებს „კამპ ნოუდან“ წასვლას, პირიქით, „ბარსელონას“ ერთგულებას ეფიცება.

გავაგრძელოთ და იმათზე ვთქვათ, ვისთვისაც „სამეფო კლუბის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ გამოინახა. ისინი, ალბათ, მალე წავლენ. ჯერჯერობით ასეთი ორია — პერიცა ოგნიენოვიჩი და სავიო. 24 წლის იუგოსლაველს უკვე მსურველიც გამოუჩნდა — სავარაუდოდ „ნაპოლისთან“ გააფორმებს კონტრაქტს.

სავიოს შესახებ კი სხვადასხვა ცნობები არსებობს. თავად ფეხბურთელის აგენტი აცხადებს, რომ მისი კლიენტი „რეალში“ ბედნიერია და არსადაც არ მიდის. აი, სააგენტოებს კი სხვაგვარი რამ შეუტყვიათ და ხმებს ავრცელებენ, თითქოს „რეალმა“ ბრაზილიელს დეკემბრამდე მისცა ბოლო ვადა, ახალი კლუბი გამონახეო.

თუ ვინ უფრო სანდოა, აგენტი თუ სააგენტო, ესეც მალე გამოჩნდება.

კეთილი, ახლა მინდვრის ფარგლებს ოდნავ გავცდეთ და მადრიდის „რეალის“ მხარდამჭერთა კლუბებში შევიხედოთ. „სამეფო კლუბმა“ ამას წინათ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დღეს მსოფლიოში 1605 ასეთი ორგანიზაცია არსებობს და თითოეულ მათგანში ათასობით ქომაგია გაწევრიანებული. „რეალს“ ესპანეთის თითქმის ყველა მხარეში აქვს თავისი ფანკლუბები — მათი რიცხვი 1570-ია. დანარჩენ ევროპულ ქვეყნებში 22 ფანკლუბია. „რეალი“ ატლანტიკის გაღმაც პოპულარული ყოფილა — იქ უკვე რვა კლუბია ჩამოყალიბებული, ორ-ორია აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე, ხოლო ოკეანეთში — ერთი.

ნიკა შუბლაძე

## პერესის ოცნების რეალი




რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# მორალი მეფსონეთათვის

**პრიმერადივიზიონის** მეხუთე ტურში „რეალი“ — „ვალიადოლიდის“ მატჩის 89-ე წუთზე სტუმართა მექსიკელმა თავდამსხმელმა კუატემოკ ბლანკომ მადრიდელებს გაუტანა და ამ გოლის წყალობით თამაში ფრედ დასრულდა. „რეალის“ ვერმოგებამ, საფიქრებელია, რომ ტოტალიზატორთა მუდმივ სტუმრებს ბლომად ფული დააკარგვინა, რაკი თავიანთ ქვითრებში ბევრს ეწერა „სამეფო კლუბის“ ერთიანი. ქვემოთ ერთი კონკრეტული ბილეთის ამბავი ვთქვათ.

ესპანეთში ჩასულებს შეგიძლიათ შეავსოთ ქვითარი, რომელშიც წინასწარვე მოცემულია თოთხმეტი მატჩი და თოთხმეტივეს შედეგს თუ გამოიცნობთ, უზრუნველი ცხოვრება გელით. ჩვენთვის საინტერესო ქვითარი კი ასე შეივსო: ოცდაშვიდი კაცი შეიკრიბა, თავიანთი აზრი თქვეს, შეთანხმებას მიაღწიეს და ერთ საერთო ვარიანტზე შეჩერდნენ.

დაიწყო ტური და... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი... ამ ოცდაშვიდი კაცის საერთო ბილეთში ცამეტი შედეგი დაემთხვა და ალბათ, უკვე მიხვდით, რომ მეთოთხმეტე თამაში სწორედ თავში ნახსენები „რეალი“ — „ვალიადოლიდი“ იყო. ალბათ, იმასაც მიხვდით, რომ ამ ოცდაშვიდი კაცის აზრით, „რეალს“ უნდა დაემარცხებინა „ვალიადოლიდი“ და 89-ე წუთზე მექსიკელი ბლანკოს გოლმა წინა ცამეტი შედეგის გამოცნობას ფასი დაუკარგა.

ახლა კი ყველაზე საინტერესო ვთქვათ — თუ ვინ იყვნენ ეს ოცდაშვიდნი. ვინ და... კუატემოკ ბლანკო და მისი ოცდაექვსი ვალიადოლიდელი თანაგუნდელი.

როცა საბოლოო შედეგები გამოქვეყნდა, აღმოჩნდა, რომ მეთოთხმეტე შედეგიც რომ გამოეცნოთ, ვალიადოლიდელები საერთო ჯამში 3,24 მილიონ გირვანქას იგებდნენ და თითოეულზე 120 ათასი გირვანქა მოდიოდა. ამ ცნობის მერე წარმოიდგინოთ, როგორ „გაიხარა“ ბლანკომ და „ვალიადოლიდმა“ „რეალისთვის“ გათანაბრება.



ვალიადოლიდელებმა „რეალს“ გაუტანეს. რა უხარიათ?

ვალიადოლიდელთა მეკარემ ალბანო ბიზარიმ, რომელიც სხვათა შორის ყოფილი რეალელია, თქვა: „ბლანკომ რომ გაიტანა, ისე გავიხარეთ, რომ დაგვავიწყდა, რამდენ ფულს ვაგებდით. სამწუხაროდ, ერთადერთი შედეგის გამოცნობაში შევცდით. თუმცა „რეალთან“ გახერხებულმა ფრემ ფულის დაკარგვით გამოწვეული სინანული აგვინაზღაურა“.

მორალი: არასოდეს ჩახვიდეთ ფსონს იმ გუნდის წინააღმდეგ, რომელსაც ქომაგობთ.

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის რუკასთან

**ესპანური** „რაიო ვალეკანოს“ მთავარ მწვრთნელად გრეგორიო მანსანო დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მან ანდონი გიოკოეჩეა შეცვალა, რომელიც ჩემპიონატში ნაჩვენები ცუდი შედეგების გამო დაითხოვეს. მანსანო „რაიოში“ ერთი სეზონი დარჩება და იმედოვნებს, რომ კლუბს კრიზისიდან გამოიყვანს.

**ჩინეთის ნაკრების მცველ სუნ ჟიხაით რამდენიმე ევროპული სუპერკლუბი დაინტერესდა, რომელთა შორის ყველაზე მეტად „მილანი“ და „იუვენტუსი“ აქტიურობენ. თავად ჩინელი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს და საბოლოო პასუხს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების დასრულების შემდეგ იტყვის. აქვე აღვნიშნოთ, რომ ჩინეთის ნაკრებს კი კარგი შანსი გაუჩნდა, თავის ისტორიაში პირველად მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე ითამაშოს.**

**პორტუგალიური** „სანტა კლარას“ მწვრთნელმა კარლუშ მანუელმა, რომელმაც წლეულს კლუბი პირველ დივიზიონს დაუბრუნა, რამდენიმე დღის წინ ჩემპიონატში ცუდი შედეგებისთვის თანამდებობა დატოვა. მის ნაცვლად მთავარ მწვრთნელად პორტუგალიის ნაკრებისა და ლისაბონის „სპორტინგის“ ყოფილი თავდამსხმელი, 50 წლის მანუელ ფერნანდესი დაინიშნა. მას „სანტა კლარაში“ ადრეც უმუშავია.

**სომხურ „არარატს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, ამავე კლუბის 80-იანი წლების ფეხბურთელი, რაფაელ გალსტიანი. სომხეთის უმაღლეს ლიგაში ეს უკვე მეხუთე გუნდია, რომელმაც ამ სეზონში მწვრთნელი გამოიცვალა. მანამდე ასეთები „პიუნკი“, „მიკა“, „ლერნაგორიცა“ და „სპარტაკი“ იყვნენ.**

**უკრაინული** „შახტარის“ მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ პროკოპენკომ ევროთასებზე წარუმატებელი გამოსვლის გამო თანამდებობიდან წასვლა გადაწყვიტა. ამ საკითხზე მწვრთნელს დონეცკელთა პრეზიდენტ რინატ ახმეტოვთან უსაუბრია, რომელმაც იგი წლის ბოლომდე კლუბში დასარჩენად დაიყოლია.

| 23 | რექსემ იუნაიტედი (10) (10) | 3:3 | 1:2 | | | | | 13.10 | 1:2 | | | | 1:1 | | 23.10 | | | 03.11 | | 1:3 | | | | | 1:0 | 10 | 1 | 3 | 6 | 14:26 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 | 0 | 1 | 3 | 6:15 | 1 |
| 24 | ბერი (16) (16) | | | | | 0:1 | | 1:2 | 27.10 | | 1:1 | 0:3 | | | | | 20.10 | : | | | | 0:2 | | | | 11 | 1 | 2 | 8 | 7:21 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | 1 | 1 | 1 | 4 | 5:12 | 4 |

# ინგლისი. მესამე დივიზიონი. 2001-02. XII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | 8ს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.10.01 | 23.45 | 042 | 1:0საუთენდი; 0:1რაშდენი; 1:0ჰარტლპული **ჩელტენემი** V **ლინკოლნი** იორკი1:3; ჰარტლპული2:0; 2:2კარლაილი | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | : | 0:1 2:1 | 0:2 2:1 | - |
| 05.10.01 | 23.45 | 043 | 1:3როჩდეილი; ჰალი4:2; 0:0სკანთორპი **მენსფილდი** V **ლეიტონი** ტორკი1:2; ლუტონი1:3; 0:0ჰალიფაქსი | 1,9 | 3,1 | 3,6 | | | | : | 1:2 2:0 | 1:1 3:1 | 1:1 1:2 |
| 05.10.01 | 23.45 | 044 | 0:0დარლინგტონი; 1:1ექსეტერი; ჩელტენემი1:0 **რაშდენი** V **ჰარტლპული** კარლაილი3:1; 0:2ლინკოლნი; კიდერმინსტერი1:1 | 1,95 | 3,1 | 3,5 | | | | : | - | - | - |
| 05.10.01 | 23.45 | 045 | 1:3სკანთორპი; 3:3სუონსი; როჩდეილი1:0 **შრიუსბერი** V **ჰალი** ჰალიფაქსი3:0; 2:4მენსფილდი; სუონსი2:1 | 2,3 | 3,2 | 2,7 | | | | : | 0:1 0:2 | 3:0 0:0 | 3:2 1:1 |
| 05.10.01 | 23.45 | 046 | 2:1ლეიტონი; სკანთორპი0:0; 1:5ლუტონი **ტორკი** V **საუთენდი** ჩელტენემი0:1; კარლაილი3:2; 0:2ოქსფორდი | 2,3 | 3,1 | 2,8 | | | | : | 1:1 1:1 | 0:1 2:0 | 2:0 0:0 |
| 05.10.01 | 23.45 | 047 | 1:2პლიმუთი; 3:1ლეიტონი; ტორკი5:1 **ლუტონი** V **დარლინგტონი** რაშდენი0:0; 1:1მაკლსფილდი; ექსეტერი4:0 | 1,7 | 3,2 | 4,4 | | | | : | - | - | - |
| 05.10.01 | 23.45 | 048 | 0:3ჰალი; 0:2როჩდეილი; ლეიტონი0:0 **ჰალიფაქსი** V **სკანთორპი** შრიუსბერი3:1; 0:0ტორკი; მენსფილდი0:0 | 2,2 | 3,2 | 2,9 | | | | : | 0:1 3:4 | - | 4:0 1:0 |
| 06.10.01 | 17.00 | 049 | 1:1როვერსი; 0:0კიდერმინსტერი; საუთენდი2:0 **ოქსფორდი** V **პლიმუთი** ლუტონი2:1; 0:0იორკი; მაკლსფილდი2:0 | 2,3 | 3,2 | 2,7 | | | | - | - | - | - |
| 06.10.01 | 17.00 | 050 | 3:1ლინკოლნი; პლიმუთი0:0; 2:2როვერსი **იორკი** V **ექსეტერი** მაკლსფილდი0:0; რაშდენი1:1; 0:4დარლინგტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 | | | | - | 1:3 0:3 | 1:2 0:0 | - |
| 06.10.01 | 19.00 | 051 | 1:3ჰარტლპული; 2:3საუთენდი; ლინკოლნი2:2 **კარლაილი** V **როვერსი** ოქსფორდი1:1; იორკი2:2; საუთენდი2:1 | 2,7 | 3,2 | 2,3 | | | | - | - | - | - |
| 07.10.01 | 18.00 | 052 | 0:0ექსეტერი; დარლინგტონი1:1; 0:2პლიმუთი **მაკლსფილდი** V **კიდერმინსტერი** სუონსი0:2; ოქსფორდი0:0; 1:1ჰარტლპული | 1,75 | 3,2 | 4,0 | | | | - | 1:2 1:0 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | როჩდეილი (8) | | | | | | | 3:1 | | | 2:2 | | | | | 23.10 | 1:1 | 03.11 | 2:0 | | 13.10 | 2:0 | | | 2:0 | 11 | 7 | 2 | 2 | 19:11 | 23 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 9 |
| 2 | ჰალ სიტი (6) | 3:1 | | | 0:0 | | | | | 23.10 | | 4:0 | | | 2:1 | 03.11 | | 13.10 | 3:0 | | | 2:1 | | | | 10 | 6 | 3 | 1 | 19:8 | 21 | 5 | 1 | 0 | 14:3 | 16 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| 3 | ლუტონ თაუნი (დ) | 20.10 | | | | | : | | | | | | 2:0 | 1:1 | 27.10 | 2:1 | | 5:1 | | 1:1 | | | | | | 11 | 6 | 3 | 2 | 23:13 | 21 | 3 | 2 | 0 | 11:4 | 11 | 3 | 1 | 2 | 12:9 | 10 |
| 4 | პლიმუთ არგაილი (12) | 1:2 | | 2:1 | | 0:1 | | | | | | | | | 3:1 | | 2:0 | | 13.10 | 23.10 | | | 03.11 | | | 11 | 6 | 3 | 2 | 15:9 | 21 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 9 | 3 | 3 | 0 | 7:4 | 12 |
| 5 | შრიუსბერი თაუნი (15) | 1:0 | : | | | | 20.10 | | | | | 3:2 | | | | 2:1 | | | | 03.11 | 23.10 | 4:0 | 1:3 | | | 11 | 6 | 2 | 3 | 18:14 | 20 | 4 | 0 | 1 | 11:6 | 12 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| 6 | დარლინგტონი (20) | | 27.10 | | | | | 13.10 | 1:0 | 3:0 | | | | | | | | | | | 0:0 | 2:0 | | 2:2 | 4:0 | 11 | 5 | 4 | 2 | 17:8 | 19 | 4 | 2 | 0 | 12:2 | 14 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| 7 | მენსფილდ თაუნი (13) | | 4:2 | 03.11 | 20.10 | 2:1 | | | | : | | | 0:0 | | | | 4:0 | 23.10 | | 2:1 | | | | | | 11 | 5 | 4 | 2 | 18:12 | 19 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 13 | 1 | 3 | 2 | 6:8 | 6 |
| 8 | ბრისტოლ როვერსი (დ) | | | 3:2 | 27.10 | 0:0 | | | | | | 2:2 | 2:1 | 1:1 | | | 13.10 | 1:0 | | | | | | | | 10 | 5 | 3 | 2 | 13:11 | 18 | 3 | 3 | 0 | 9:6 | 12 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| 9 | ლეიტონ ორიენტი (5) | 27.10 | | 1:3 | | 13.10 | | | 3:1 | | | | | | | | | 1:2 | | | 2:1 | | 2:0 | 0:0 | | 11 | 4 | 3 | 4 | 13:14 | 15 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |
| 10 | სკანთორპ იუნაიტედი (10) | | | 13.10 | | 3:1 | | 0:0 | 1:2 | 03.11 | | | 23.10 | | 2:2 | | | | | 1:1 | | | 1:0 | | | 11 | 3 | 5 | 3 | 17:13 | 14 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 | 1 | 2 | 2 | 9:7 | 5 |
| 11 | იორკ სიტი (17) | | | 1:2 | 0:0 | | | | | 2:1 | | | 20.10 | | | | 27.10 | | 1:0 | | 0:1 | | | | : | 11 | 4 | 2 | 5 | 15:16 | 14 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 | 2 | 1 | 3 | 11:12 | 7 |
| 12 | საუთენდ იუნაიტედი (11) | | | | | | 1:0 | | | 1:2 | | | | | 13.10 | 0:1 | | | 4:1 | | | 27.10 | 0:0 | 3:2 | | 11 | 4 | 2 | 5 | 11:12 | 14 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| 13 | ოქსფორდ იუნაიტედი (დ) | 1:2 | | | : | 0:1 | | | | | 20.10 | 03.11 | 2:0 | | | | 0:2 | | | | 3:2 | | | 23.10 | | 11 | 3 | 4 | 4 | 12:12 | 13 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 | 1 | 4 | 1 | 6:5 | 7 |
| 14 | სუონსი სიტი (დ) | : | | | | 3:3 | 23.10 | | | 20.10 | | | | 0:0 | | 2:2 | | | 0:2 | | 03.11 | | | | 4:2 | 11 | 3 | 4 | 4 | 18:20 | 13 | 1 | 3 | 1 | 9:9 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:11 | 7 |
| 15 | ჩელტენემ თაუნი (9) | | | | | | | 2:3 | : | 1:1 | 27.10 | | | | | | | 2:2 | | : | | | | 2:0 | 20.10 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:13 | 12 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| 16 | მაკლსფილდ თაუნი (14) | | 0:0 | | | | 1:1 | | | | 4:3 | | | | 1:3 | | | | | 20.10 | 0:0 | : | 23.10 | 03.11 | | 11 | 2 | 6 | 3 | 9:14 | 12 | 1 | 3 | 1 | 6:7 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:7 | 6 |
| 17 | ტორკი იუნაიტედი (21) | | | | 0:1 | 27.10 | 2:1 | | | | 0:0 | 0:3 | : | | | | | | | | | | 20.10 | 2:1 | | 11 | 3 | 3 | 5 | 9:16 | 12 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| 18 | ჰალიფაქს თაუნი (23) | | | 23.10 | | | 03.11 | 1:0 | 20.10 | 0:0 | : | | | 0:2 | | | 0:0 | | | | | | | | 1:1 | 11 | 3 | 3 | 5 | 7:14 | 12 | 1 | 3 | 1 | 2:3 | 6 | 2 | 0 | 4 | 5:11 | 6 |
| 19 | ლინკოლნ სიტი (18) | | | | | | 1:1 | | 0:1 | | | 1:3 | | 13.10 | 3:0 | | | | 1:2 | | | | 2:0 | | 27.10 | 11 | 2 | 5 | 4 | 13:13 | 11 | 2 | 1 | 3 | 8:7 | 7 | 0 | 4 | 1 | 5:6 | 4 |
| 20 | რაშდენ ენდ დაიმონდსი (დ) | | 20.10 | | 2:3 | | | 27.10 | | | | | 0:1 | | | 1:0 | | 0:0 | | 0:0 | | | : | | | 11 | 2 | 5 | 4 | 8:10 | 11 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| 21 | კიდერმინსტერ ჰარიერსი (16) | | | | 0:0 | | | 1:1 | 03.11 | | 1:0 | 23.10 | | 0:0 | 0:2 | 13.10 | | 1:0 | | | | | | | | 11 | 2 | 4 | 5 | 5:14 | 10 | 2 | 3 | 1 | 3:3 | 9 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |
| 22 | ჰარტლპულ იუნაიტედი (4) | | | | | | 1:2 | 1:1 | | | | 13.10 | | 27.10 | | 0:1 | | | | | | 1:1 | | 3:1 | | 10 | 2 | 3 | 5 | 9:12 | 9 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| 23 | კარლაილ იუნაიტედი (22) | 1:2 | 0:0 | 0:2 | | | | | : | | | 2:1 | | | | | | | 27.10 | 2:2 | | 20.10 | | | | 11 | 1 | 4 | 6 | 11:19 | 7 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 | 0 | 2 | 4 | 6:12 | 2 |
| 24 | ექსეტერ სიტი (19) | | 1:3 | 2:2 | 2:3 | | | | 23.10 | | 0:4 | | 03.11 | 3:2 | | | 0:0 | | | | 1:1 | | | 13.10 | | 11 | 1 | 4 | 6 | 12:26 | 7 | 1 | 3 | 3 | 9:15 | 6 | 0 | 1 | 3 | 3:11 | 1 |

# ინგლისი. პირველი დივიზიონი. 2001-02. XII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | შს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.10.01 | 23.45 | 028 | 0:1ვესტ ბრომვიჩი; ქრიუ3:3; 1:2ნორვიჩი **ბარნსლი V უოტფორდი** პრესტონი1:1; ბირმინგემი3:3; 0:1ქრიუ | 1,75 | 3,2 | 4,0 | | | | : | 1:0 2:0 | - | - |
| 05.10.01 | 23.45 | 029 | 2:3ბრედფორდი; ჯილინგემი1:2; 3:3სტოკპორტი **გრიმსბი V როტერჰემი** ველვზი0:3; უენსდი1:1; 1:2ჯილინგემი | 1,6 | 3,5 | 4,7 | | | | : | - | - | - |
| 06.10.01 | 19.00 | 030 | 4:0სიტი; მილუოლი2:2; 1:0ვესტ ბრომვიჩი **უიმბლდონი V უოლსოლი** მილუოლი0:0; 0:3სიტი; ველვზი0:3 | 1,6 | 3,3 | 5,3 | | | | - | - | - | - |
| 07.10.01 | 17.00 | 031 | 1:4კრ. პალასი; 1:1როტერჰემი; სიტი2:6 **უენსდი V შეფილდი** ნორვიჩი2:1; კრ. პალასი1:3; 0:2მილუოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | 1:1 1:2 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ველვერჰემპტონ უონდერერსი (12) | | 27.10 | | | 20.10 | | 2:2 | | | | 1:0 | | 30.10 | | | | 1:0 | | | : | | 2:2 | | | 10 | 7 | 3 | 0 | 20:9 | 24 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 | 5 | 1 | 0 | 14:5 | 16 |
| 2 | ბარნსლი (7) | | | | | 23.10 | 2:4 | | | | 3:2 | | | | | | | : | 03.11 | 3:3 | 20.10 | | | 5:2 | 3:0 | 11 | 7 | 1 | 3 | 27:18 | 22 | 3 | 1 | 1 | 16:11 | 10 | 4 | 0 | 2 | 11:7 | 12 |
| 3 | ვესტ ბრომვიჩ ალბიონი (6) | 23.10 | 1:0 | | | | 4:0 | | | | 0:1 | 03.11 | 0:1 | 13.10 | | 1:0 | 2:0 | | | | | | | | | 10 | 6 | 1 | 3 | 14:7 | 19 | 4 | 0 | 2 | 8:2 | 12 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 4 | ნორვიჩ სიტი (15) | 03.11 | 2:1 | 20.10 | | | 2:0 | 23.10 | | | | 1:0 | | | | | | 3:1 | | : | | 2:0 | | | | 10 | 6 | 1 | 3 | 13:13 | 19 | 5 | 0 | 0 | 10:2 | 15 | 1 | 1 | 3 | 3:11 | 4 |
| 5 | კრისტალ პალასი ლონდონი (21) | | | 30.10 | 27.10 | | | | | | 13.10 | | 5:0 | 1:3 | | | | | | | 1:0 | 4:1 | 4:1 | | | 9 | 6 | 0 | 3 | 25:16 | 18 | 4 | 0 | 1 | 15:5 | 12 | 2 | 0 | 2 | 10:11 | 6 |
| 6 | მანჩესტერ სიტი (დ) | | | | | | | | | | 0:4 | | 24.10 | | 3:0 | 03.11 | | 3:0 | | 5:2 | | | 13.10 | 3:0 | | 10 | 6 | 0 | 4 | 27:20 | 18 | 4 | 0 | 1 | 14:6 | 12 | 2 | 0 | 3 | 13:14 | 6 |
| 7 | პორტსმუთი (20) | | | 1:2 | | 4:2 | | | 0:1 | | | : | 4:2 | | 30.10 | 2:1 | 27.10 | | 20.10 | | | | | | | 11 | 5 | 3 | 3 | 21:16 | 18 | 3 | 0 | 2 | 11:8 | 9 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| 8 | ბრედფორდი (დ) | 13.10 | 2:3 | | | | | | | 2:1 | 30.10 | | 3:2 | | | 5:1 | | 27.10 | | | 4:0 | | 2:4 | | | 10 | 5 | 2 | 3 | 22:15 | 17 | 4 | 0 | 2 | 18:11 | 12 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| 9 | კოვენტრი სიტი (დ) | 0:1 | | | | : | 4:3 | 2:0 | | | | 0:0 | 0:1 | | | | 31.10 | | | 20.10 | | 27.10 | | | | 10 | 5 | 2 | 3 | 13:9 | 17 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| 10 | უიმბლდონი ლონდონი (8) | | | | 0:1 | | | 3:3 | | 23.10 | | | 03.11 | 2:2 | 3:1 | 20.10 | | | | | | 1:1 | | : | | 11 | 4 | 4 | 3 | 21:15 | 16 | 1 | 3 | 1 | 9:8 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:7 | 10 |
| 11 | ნოტინგემ ფორესტი (11) | | 13.10 | | | 4:2 | 27.10 | | 1:0 | | | | | | | | | | 1:1 | | | 31.10 | 2:1 | | 2:0 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:8 | 15 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 | 0 | 2 | 3 | 1:4 | 2 |
| 12 | გრიმსბი თაუნი (18) | | | | 30.10 | | | | | | | 0:0 | | | 27.10 | 1:2 | 2:2 | 20.10 | | 1:0 | 1:0 | | | | : | 11 | 4 | 3 | 4 | 14:19 | 15 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 | 2 | 1 | 3 | 9:15 | 7 |
| 13 | მილუოლი (დ) | | 0:2 | | 4:0 | | : | | 23.10 | 03.11 | | 20.10 | | | | | | | 2:0 | | 3:1 | | | | | 10 | 4 | 2 | 4 | 14:12 | 14 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| 14 | ბირმინგემ სიტი (5) | | 2:3 | : | | | | | 20.10 | | | | | 4:0 | | 23.10 | 0:1 | | | | | 2:0 | 2:1 | | 03.11 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:15 | 14 | 3 | 0 | 2 | 10:5 | 9 | 1 | 2 | 2 | 6:10 | 5 |
| 15 | ჯილინგემი (13) | 2:3 | 30.10 | | 13.10 | | | | | 1:2 | | | | | | | 5:0 | | | | 3:0 | | | 27.10 | 2:1 | 10 | 4 | 1 | 5 | 17:15 | 13 | 3 | 0 | 2 | 13:6 | 9 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| 16 | პრესტონ ნორთ ენდი (4) | 1:2 | | | 4:0 | | 20.10 | | : | | 1:1 | | | 1:0 | | | | | 23.10 | | | | 03.11 | 1:1 | | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | 13 | 2 | 2 | 1 | 8:4 | 8 | 1 | 2 | 2 | 4:10 | 5 |
| 17 | უოტფორდი (9) | | | 1:2 | | | | | | | 3:0 | 23.10 | | | 3:3 | | 1:1 | | | | 03.11 | 13.10 | | 2:1 | 3:2 | 10 | 3 | 2 | 5 | 14:17 | 11 | 3 | 2 | 1 | 13:9 | 11 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |
| 18 | შეფილდ იუნაიტედი (10) | 2:2 | | | 2:1 | 1:3 | | | 2:2 | 0:1 | | | 13.10 | | | 0:0 | | 30.10 | | 27.10 | | | | | | 10 | 2 | 5 | 3 | 11:14 | 11 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| 19 | ქრიუ ალექსანდრა (14) | | | | | | | | 03.11 | | 0:4 | | | 1:0 | 0:0 | | 13.10 | 1:0 | | | | 0:2 | 23.10 | 2:1 | | 10 | 3 | 2 | 5 | 9:18 | 11 | 3 | 1 | 2 | 4:7 | 10 | 0 | 1 | 3 | 5:11 | 1 |
| 20 | ბერნლი (16) | | | 27.10 | | | 30.10 | 1:4 | | 1:1 | | 2:1 | | | 13.10 | | | | | 2:0 | | | 2:2 | | 1:1 | 11 | 2 | 3 | 6 | 10:21 | 9 | 2 | 3 | 1 | 9:9 | 9 | 0 | 0 | 5 | 1:12 | 0 |
| 21 | შეფილდ უენსდი (17) | | 0:2 | 1:1 | | | 2:6 | 03.11 | 1:1 | | | | | | | | | | : | | 24.10 | | | 20.10 | | 10 | 1 | 4 | 5 | 9:20 | 7 | 0 | 2 | 2 | 4:10 | 2 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| 22 | სტოკპორტ ქაუნთი (19) | | | | | | | 0:1 | | 0:2 | | | 3:3 | 27.10 | | : | | | 1:2 | | | | | 30.10 | 20.10 | 10 | 1 | 3 | 6 | 15:22 | 6 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 | 1 | 2 | 3 | 11:14 | 5 |
| 23 | უოლსოლი (დ) | 0:3 | | 2:1 | | 03.11 | | 0:0 | | 13.10 | | | | 0:0 | 1:2 | | | | | | | | | | 23.10 | 10 | 1 | 3 | 6 | 8:19 | 6 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:13 | 1 |
| 24 | როტერჰემი (დ) | 0:3 | | | 1:1 | 2:3 | | 13.10 | | | 27.10 | | | | | | | | 1:1 | 30.10 | | 1:1 | | | | 10 | 0 | 4 | 6 | 9:20 | 4 | 0 | 3 | 2 | 5:9 | 3 | 0 | 1 | 4 | 4:11 | 1 |

# ჰოლანდია. მეორე დივიზიონი. 2001-02. VIII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | შს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.10.01 | 23.00 | 138 | 0:2დენ ჰააგი; ჰაარლემი0:3; 3:1კამბური **ვეენდამი V როზენდალი** ჰელმონდი1:1; დენ ჰააგი3:0; 3:0ჰაარლემი | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | - | 3:5 2:0 | 3:1 3:5 |
| 05.10.01 | 23.00 | 139 | 2:1ჰერაკლესი; 1:2ჰელმონდი; 0:2ექსელსიორი **მაასტრიხტი V ვოლენდამი** ტელსტარი0:2; 4:1ეინდჰოვენი; ექსელსიორი0:2 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 1:0 1:1 | - | - |
| 05.10.01 | 23.00 | 140 | ეინდჰოვენი1:0; 0:0იგლსი; ვენლო1:0 **ექსელსიორი V დოორდრეხტი** ზვოლე1:1; 1:2ოსი; ემენი2:2 | 1,4 | 3,8 | 7,0 | | | | - | 5:4 2:5 | 4:2 1:2 | 0:1 1:2 |
| 05.10.01 | 23.00 | 141 | 0:1ექსელსიორი; 2:7ვენლო; ვოლენდამი1:4 **ეინდჰოვენი V იგლსი** ექსელსიორი0:0; 1:4ზვოლე; ოსი6:0 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 1:2 3:1 | 0:2 2:0 | 2:0 3:2 |
| 05.10.01 | 23.00 | 142 | 1:1როზენდალი; მაასტრიხტი2:1; 0:0დენ ჰააგი **ჰელმონდი V ჰერაკლესი** 0:1ემენი; მაასტრიხტი1:2; 2:1ტელსტარი | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 2:3 1:1 | 3:2 1:1 | 2:1 1:0 |
| 05.10.01 | 23.00 | 143 | 2:0ვოლენდამი; ჰერაკლესი1:2; 4:0ეინდჰოვენი **ტელსტარი V ვენლო** ეინდჰოვენი7:2; 0:1ექსელსიორი; ზვოლე2:0 | 1,8 | 3,2 | 3,8 | | | | - | 1:0 3:2 | 0:1 5:0 | 0:1 3:3 |
| 07.10.01 | 17.30 | 144 | 1:1დოორდრეხტი; იგლსი4:1; 0:2ვენლო **ზვოლე V კამბური** ოსი4:0; 1:2ემენი; ვეენდამი1:3 | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | - | 1:1 1:1 | - | - |
| | | | გამოტოვებული მატჩი | | | | | | | | | | |
| 07.10.01 | 17.30 | 137 | ემენი1:1; 3:0ვეენდამი; როზენდალი0:3 **ჰაარლემი V დენ ჰააგი** ვეენდამი2:0; 0:3როზენდალი; ჰელმონდი0:0 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 0:4 1:2 | 1:0 1:1 | 1:2 0:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსელსიორი როტერდამი (2) | | | | | | | | | | 1:0 | | | | | | : | 2:0 | 1:0 | 7 | 6 | 1 | 0 | 11:2 | 19 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| 2 | ზვოლე ზვოლე (3) | | | | | : | | | 1:0 | 2:1 | | | | | 4:1 | | | | | 7 | 5 | 1 | 1 | 14:7 | 16 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| 3 | როზენდალი (დ) | | | | | | 3:0 | | | | 2:0 | | | | | 1:1 | 3:1 | | | 7 | 4 | 2 | 1 | 14:5 | 14 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| 4 | ვეენდამი (15) | | | : | | | | | | | | 0:3 | 1:0 | | 2:2 | | | | | 7 | 4 | 1 | 2 | 13:11 | 13 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 | 3 | 0 | 1 | 10:6 | 9 |
| 5 | კამბური კამბური (4) | | | 1:0 | 1:3 | | | | | | | 1:1 | | 4:0 | | | | | | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 11 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| 6 | ადო დენ ჰააგი (16) | | | | 2:0 | 0:0 | | | | | | | | | 4:0 | 0:0 | | | | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 | 2 | 2 | 0 | 6:0 | 8 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| 7 | ემენი (13) | | | | | 2:1 | | | 1:0 | | 3:1 | | | | | | | | | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| 8 | ჰერაკლეს ალმელო (11) | 1:2 | | | | | | | | | | | | 3:0 | | | | 1:2 | 4:0 | 7 | 3 | 0 | 4 | 11:7 | 9 | 2 | 0 | 2 | 9:4 | 6 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 9 | ტელსტარი იმუიდენი (7) | 1:3 | | | | | | | 1:2 | | : | | | | | 2:0 | | | | 6 | 3 | 0 | 3 | 11:7 | 9 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| 10 | ვენლო (18) | | 2:0 | | 2:4 | | | | | | | | | 3:0 | | | | | 7:2 | 7 | 3 | 0 | 4 | 15:12 | 9 | 3 | 0 | 1 | 14:6 | 9 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |
| 11 | ჰაარლემი (17) | | | 0:3 | | | : | 1:1 | | | | | | | | | 1:3 | | | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 7 |
| 12 | ვოლენდამი (6) | 0:2 | 1:3 | | | | | 2:1 | | 0:2 | | | | | | | | | | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| 13 | ტოპ ოსი (10) | | | | | | | | | | | | 1:1 | | | | 2:1 | 3:1 | | 7 | 2 | 1 | 4 | 6:19 | 7 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 | 0 | 0 | 4 | 0:16 | 0 |
| 14 | გოუ ეჰედ იგლსი (5) | 0:0 | | 2:2 | | | | | | | | | | 6:0 | | | | | | 6 | 1 | 3 | 2 | 11:12 | 6 | 1 | 2 | 0 | 8:2 | 5 | 0 | 1 | 2 | 3:10 | 1 |
| 15 | ჰელმონდ სპორტი (8) | | | | | 0:2 | | | : | | | 0:3 | | | | | | 2:1 | | 7 | 1 | 3 | 3 | 4:10 | 6 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| 16 | დოორდრეხტი (12) | | 1:1 | | 1:3 | | 1:2 | 2:2 | | | | | | | | | | | | 7 | 1 | 2 | 4 | 10:14 | 5 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| 17 | მაასტრიხტი (14) | | 1:3 | | | | | | | | | : | | | | | | | 2:2 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:13 | 4 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| 18 | ეინდჰოვენი (9) | | | | | | | | | 0:4 | | | 1:4 | | : | 1:1 | | | | 7 | 0 | 2 | 5 | 6:23 | 2 | 0 | 1 | 2 | 2:9 | 1 | 0 | 1 | 3 | 4:14 | 1 |

# ბელგია. მეორე დივიზიონი. 2001-02. VIII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | შს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.10.01 | 23.30 | 145 | 2:0ტიენენი; სტრომბეეკი1:2; 1:1ჰეუსდენი **ვირტონი V გეელი** დაინცე2:0; რონსი1:4; 2:0დესელი | 2,4 | 3,0 | 2,7 | | | | : | - | - | - |
| 06.10.01 | 22.30 | 146 | 1:1ვიზე; მონსი2:2; 1:1ფლაანდერენი **დესელი V მეხელენი** ინგელმუნსტერი3:0; 2:0დენდერლეეუ; სერკლი2:0 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | : | - | - | - |
| 07.10.01 | 18.00 | 147 | 0:2ფლაანდერენი; 1:1ტიენენი; სტრომბეეკი1:0 **ლიეჟი V მონსი** რონსი3:0; 2:2დესელი; ინგელმუნსტერი2:3 | 2,3 | 3,0 | 2,9 | | | | - | 2:1 3:2 | - | - |
| 07.10.01 | 18.00 | 148 | 0:2გეელი; ტიენენი3:0; 2:2სტრომბეეკი **დაინცე V ფლაანდერენი** ლიეჟი2:0; 2:2რონსი; დესელი1:1 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | - | - | - |
| 07.10.01 | 18.00 | 149 | 2:0ჰეუსდენი; 2:1ვირტონი; დაინცე2:2 **სტრომბეეკი V ტიენენი** ვირტონი0:2; 0:3დაინცე; ლიეჟი1:1 | 1,6 | 3,3 | 5,3 | | | | - | 0:1 0:0 | - | - |
| 07.10.01 | 18.00 | 150 | 1:1რუზელარე; პატრო2:0; 0:2მეხელენი **სერკლი V ჰეუსდენი** სტრომბეეკი0:2; 0:0რუზელარე; ვირტონი1:1 | 1,95 | 3,1 | 3,5 | | | | - | 1:2 5:2 | - | - |
| 07.10.01 | 18.00 | 151 | 1:0პატრო; მეხელენი0:2; 1:1ვიზე **დენდერლეეუ V რუზელარე** სერკლი1:1; ჰეუსდენი0:0; 3:4პატრო | 2,0 | 3,1 | 3,4 | | | | - | 0:1 1:4 | 2:1 2:2 | - |
| 07.10.01 | 18.00 | 152 | 0:3მეხელენი; ვიზე3:0; 3:2მონსი **ინგელმუნსტერი V პატრო** დენდერლეეუ0:1; 0:2სერკლი; რუზელარე4:3 | 1,5 | 3,1 | 7,0 | | | | - | 2:0 2:1 | 1:2 4:1 | - |
| 07.10.01 | 18.00 | 153 | 0:3მონსი; ფლაანდერენი2:2; 4:1გეელი **რონსი V ვიზე** დესელი1:1; 0:3ინგელმუნსტერი; დენდერლეეუ1:1 | 2,0 | 3,0 | 3,5 | | | | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეხელენი (დ) | | 3:0 | | | | | | | | 13.10 | | 2:0 | | | 1:0 | 2:0 | 27.10 | | 7 | 6 | 1 | 0 | 13:0 | 19 | 4 | 0 | 0 | 8:0 | 12 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| 2 | ინგელმუნსტერი (6) | | | | | | | | 2:1 | | | | 03.11 | 3:0 | | : | 21.10 | | 3:0 | 7 | 5 | 0 | 2 | 14:7 | 15 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| 3 | მონსი (4) | | 2:3 | | 27.10 | | | | | | 3:0 | | | | | 3:0 | 1:0 | 13.10 | | 7 | 4 | 1 | 2 | 13:7 | 13 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 4 | სტრომბეეკი (10) | | 1:0 | | | | | | 21.10 | | 3:1 | | | 03.11 | | | | 2:2 | : | 7 | 4 | 1 | 2 | 12:10 | 13 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| 5 | დესელ სპორტი (12) | : | | 2:2 | 5:2 | | 03.11 | | | 21.10 | | 0:2 | | | | | | | | 7 | 3 | 3 | 1 | 15:9 | 12 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| 6 | დენდერლეეუ (9) | 0:2 | 28.10 | 2:1 | | | | | | : | | 1:0 | 21.10 | | | | | | | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| 7 | ექსელსიორ ვირტონი (დ) | 03.11 | | 21.10 | 1:2 | 0:2 | | | | | | : | | | 1:0 | | | | | 7 | 3 | 1 | 3 | 7:6 | 10 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| 8 | ზუიდ ვესტ ფლაანდერენი (დ) | | | | | 1:1 | 2:1 | 14.10 | | 1:2 | | | | | 2:0 | | | | 28.10 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 9 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| 9 | რუზელარე (8) | 0:0 | 14.10 | 0:1 | | | | | | | 28.10 | | 0:0 | | | | 1:1 | | | 7 | 2 | 3 | 2 | 9:9 | 9 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:7 | 6 |
| 10 | რონსი (დ) | | | | | | | 1:0 | 2:2 | | | | | : | | 21.10 | 03.11 | | 0:0 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | 9 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| 11 | ვერბროედერინგ გეელი (5) | | 0:3 | | 13.10 | | | | 03.11 | | 1:4 | | | | | | 2:0 | 2:0 | | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | 9 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| 12 | ჰეუსდენ ზოლდერი (11) | | | | 0:2 | | | 1:1 | | | | 27.10 | | | 2:1 | | | 4:1 | 13.10 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |
| 13 | ვიზე (დ) | 0:3 | | | | 1:1 | 1:1 | 28.10 | | 2:3 | | | | | 14.10 | | | | | 7 | 2 | 2 | 3 | 10:14 | 8 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| 14 | ლიეჟი (16) | 21.10 | | : | 1:0 | | | | | 03.11 | | : | | | | | | 2:1 | | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |
| 15 | პატრო მაასმეხელენი (14) | | | | | 13.10 | 0:1 | | | 4:3 | | | 1:0 | 2:4 | 27.10 | | | | | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | 6 | 2 | 0 | 2 | 7:8 | 6 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |
| 16 | სერკლ ბრიუგე (7) | | | | | 27.10 | 13.10 | | 0:0 | | | | : | 1:2 | | 2:0 | | | | 7 | 1 | 2 | 4 | 4:8 | 5 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |
| 17 | დაინცე (15) | | | | | | | 0:2 | : | | 0:0 | | | 21.10 | | 03.11 | | | 3:0 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | 5 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | 1 |
| 18 | ტიენენი (13) | | | 03.11 | | 1:4 | 2:2 | 0:2 | | | | 21.10 | | | 1:1 | | | | | 7 | 0 | 3 | 4 | 4:15 | 3 | 0 | 2 | 2 | 4:9 | 2 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |

# შემახედეთ სამზარეულოში!

## ჰარი რედნაპი ლესტერში არ მირბის

**პრემიერლიგის** მაჩანჩალა „ლესტერს“ ჯერაც ვერ მოუძებნია ახალი მწვრთნელი. არადა, კლუბში ისეთი მძიმე ვითარებაა, რომ დაყოვნება კარგს არაფერს უქადის. გავიხსენოთ, რომ პიტერ ტეილორი მას შემდეგ მოხსნეს, რაც წინა უქმეებზეც ვერაფერი გააწყო და მისი გუნდი ჩარლტონში დამარცხდა.

ტეილორის მოხსნიდან აგერ უკვე მეოთხე დღეა და ლესტერელებს ჯერ არავინ შეუთვალიერებიათ. უფრო სწორად, ერთ სპეციალისტს თვალი კი დაადგეს, მაგრამ მოსალაპარაკებლად ჯერ არ დამსხდარან. ეს სპეციალისტი ჰარი რედნაპია, რომელიც ამჟამად პირველდივიზიონური „პორტსმუთის“ სპორტულ დირექტორად მუშაობს.

რედნაპმა თქვა: „გამოგიტყდებით, მწვრთნელობა მომენატრა, თუმც ეს როდი ნიშნავს, რომ „ლესტერში“ დაუფიქრებლად წავალ. თუ ჩემით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი, ჯერ კლუბში არსებულ ვითარებაში უნდა ჩამახედონ, თორემ ასე ალალბედზე ვერ დავთანხმდები. აშკარაა, რომ „ლესტერის“ ასეთ მძიმე დღეში ყოფნა პიტერ ტეილორის ბრალი არ არის, რადგან ის კარგი მწვრთნელია და დარწმუნებული ვარ, უხეშ შეცდომებს არ დაუშვებდა. შესაძლოა, ფინანსურ პრობლემებთან გვქონდეს საქმე. მოკლედ, საბოლოო პასუხისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებდი, მით უმეტეს, რომ მოლაპარაკება ჯერ არც დაწყებულა, უბრალოდ, თანამშრომლობის სურვილი გამოითქვა.“

„ლესტერის“ თავმჯდომარე ელსომმა კი თქვა: „რადგან ჰარი რედნაპი ჩვენი გუნდით დაინტერესდა, დაუშვებელია, მას გვერდი ავუაროთ. ჩვენი შეხვედრა და დეტალებზე საუბარი უახლოეს დღეებში შედგება. ქომაგები ალბათ ფიქრობენ, რომ ძალიან ბევრ დროს ვფლანგავთ ტყუილუბრალოდ, რაკი ახალი მწვრთნელი ჯერ არ დაგვინიშნავს. გარწმუნებთ, ასე არაა, რადგან ამ საკითხზე დიდი დაფიქრება გვმართებს.“

სანამ თავმჯდომარე ფიქრობს, ინგლისელმა ბუქმეიკერებმა თავიანთ ცხრილებში შესწორება შეიტანეს და „ლესტერი“ პრემიერლიგიდან გავარდნის უპირველეს კანდიდატად მიიჩნიეს. სხვათა შორის, ბუქმეიკერების „დასკვნა“ ჰარი რედნაპმაც საგანგებოდ აღნიშნა, აი, ხომ ხედავთ, ყველასგან უდავო აუტსაიდერად მიჩნეული გუნდიაო.



ჰარი რედნაპი

რეალური სურათი ისეთია, რომ „ლესტერის“ ახალი მწვრთნელი ჰარი რედნაპი თუ არ გახდა, პოსტს, ალბათ, ჯორჯ გრემი ჩაიბარებს, რაკი რეალური კანდიდატი ეს ორია, თუმცა შიგადაშიგ „ევერტონისა“ და „მანჩესტერ სიტის“ ყოფილ მწვრთნელ ჯო როილისა და „ქოვენთრიდან“ ახლახან გაშვებულ გორდონ სტრაჩანის გვარებსაც ასახელებენ.

ჯორჯ გრემმა აღნიშნა, რომ თავს უმთავრეს კანდიდატურად არ მიიჩნევს, მაგრამ თუ კლუბი მოისურვებს, მზადაა სამუშაოდ. აღვნიშნოთ, რომ გრემი მარტში მოხსნეს „ტოტენჰემის“ მწვრთნელობიდან, იქამდე კი „არსენალსა“ და „ლიდსში“ უმუშავია.

**გიორგი დარჯანია**

# ჩელსი ტაქტიკას პოლიტიკაზე აგებს

**ლონდონურ** „ჩელსის“ უეფას თასის მეორე ეტაპზე მეტოქედ თელ ავივის „ჰაპოელი“ ერგო და პრობლემაც შეექმნა.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამო ისრაელში გამგზავრება მთლად უხიფათო საქმე რომ არ არის, თქმაც არ უნდა. აგერ, ავსტრიის ნაკრებიც შეფიქრიანებულა — ამ შაბათს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი ელის ისრაელში და რა ხანია იმას ცდილობს, ფიფასგან თამაშის სხვაგან გადატანას მიაღწიოს. ამასთან დაკავშირებით „რეინჯერსიც“ შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელმაც ტერორისტთა შიშით მახაჩყალაში ჩასვლა იუარა და თავისი გაიტანა კიდეც.



ჩელსელებს მცირე ხნით ამ მაისურის გახდა მოუწევთ

ავსტრიელთა და სქოთთა ფონზე ჩელსელები ვაჟკაცურად იქცევიან და თელ ავივში არჩასვლა ფიქრშიც არ გაუვლიათ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ სეზონში „ჩელსის“ სათამაშო ფორმას თუ დაკვირვებიხართ, შენიშნავდით, რომ მაისურებზე FLY EMIRATES აწერიათ, რაც ნიშნავს, რომ ლონდონელებს სპონსორობას საამიროთა ავიაკომპანია უწევს. ისიც მოგეხსენებათ, რომ საამიროები არაბული ქვეყანაა და თუმცა იქაური არაბები ერთობ მშვიდი ხალხია, ისრაელის გუნდთან სათამაშოდ არაბთა ლოგოთი დამშვენებული ფორმით ჩასვლა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს.

კლუბმა გადაწყვიტა — ისრაელში „ჩელსი“ ახალი მაისურებით ითამაშებს, რომლიდანაც არაბული კომპანიის ლოგო გაქრება. აქ ერთადერთი პრობლემა შესაძლოა, თავად არაბთა პროტესტი ყოფილიყო, მაგრამ საამიროელებმა ვითარების გამწვავება არ ისურვეს და თქვეს, გადაწყვეტილების მიღება „ჩელსისთვის“ მიგვინდიაო. „ჩელსიმ“ კი რაც გადაწყვიტა, უკვე ვთქვით.

**გიორგი დარჯანია**


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# დედარუსეთისგან შერისხული და რუსი დებისგან წაწიხლული


REUTERS მოსკოვიდან

ანა კურნიკოვას მოსკოვი რუსმა დაატოვებინა

**მოსკოვი (რუსეთი). „კრემლის თასი“ საპრიზო 2,185 მილიონი $**

ყველაფერმშვენიერ რუს მეჩოგნე ანა კურნიკოვას მსოფლიოს ცივილიზაციის ნათელით მოსილ ყველა კუთხეში ეთაყვანებიან, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მშობლიურ რუსეთში ანა არცთუ პოპულარულია და ეგებ იმის გამოც, რომ რუსეთში დაბადებულ-გაზრდილს საცხოვრებლად ამერიკის შეერთებული შტატები აურჩევია და დედარუსეთს არცთუ ხშირად სტუმრობს.

დაბადებიდან მეოცე წელი არც ისე ბედნიერი გამოდგა კურნიკოვასთვის. ბოლო წლის განმავლობაში ანა ფეხს იტკივებდა და ამ ორი კვირის წინ დაუბრუნდა მსოფლიო კორტებს, თუმცა ერჩივნა, ცოტა ხანს კიდევ შეეცადა და მერელა ჩამოელო ჩოგანი თაროდან, რადგან გადასარევად როდი წაუვიდა საქმე. კურნიკოვამ დაბრუნების შემდეგ ორივე ჩატარებული მატჩი წააგო, ორივე ისეთ თანამემამულეებთან, რომელთა სახელებიც რუსეთშიც ბევრს არ გაეგონა.

წინა კვირას ლაიფციგური ტურნირის პირველ წრეში ანასტასია მისკინასგან ძლეულ ანას, მისდა სამწუხაროდ, მოსკოვში, კრემლის თასის გათამაშების პირველ წრეში ვინმე გალინა ფოკინა გადაეყარა. ეს 17 წლის დამწყები მეჩოგნე ქალთა კლასიფიკაციაში რიგით 251-ე გახლავთ და მას არ მოუგია WTA-ს ეგიდით გამართულ ტურნირთა ძირითადი გათამაშების თუნდაც ერთი მატჩი, მაგრამ ამას ფოკინასთვის ხელი არ შეუშლია, ცნობილი თანამემამულე 75 წუთში 6:2, 1:6, 6:2 დაემარცხებინა და ჩოგბურთის მოსკოველი ქომაგებიც ერთობ გაეხარებინა.

არადა, კურნიკოვას ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ, შარშან აკი ფინალში გავიდა და კრემლის თასი ვილაცას კი არა, თავად მარტინა ჰინგისს დაუთმო, ახლა კი– ისე უნდა ითქვას, რომ ფოკინასთან წაგებამ კურნიკოვას მაინცდამაინც არ გაუფუჭა გუნება-განწყობა. „თებერვლის ტრავმის შემდეგ მხოლოდ სამ მატჩში მივიღე მონაწილეობა და სამივეგან სამ სეტში დავმარცხდი. მე ჯერაც არ ამიღდგენია ფიზიკური ძალები, ასე რომ, საგანგაშო არაფერია. ბევრი ჩემს მაგივრად შიშობს, ვაითუ ოცეულიდან გავვარდე, მე კი ეს ჯერჯერობით სულაც არ მაღელვებს“ — თქვა კურნიკოვამ ნამატჩევს.

მოსკოვში გაილაღა კურნიკოვას ერთი კვირის წინ მძლეველმა ანასტასია მისკინამაც. იგი ყოჩაღ ესპანელ მაუი სერნას ხვდებოდა და მშობლიურ ენაზე წამოსროლილი რუსული ფრაზების თანხლებით იოლად 6:2, 6:2 დასცა მეტოქე.

მეორე წრეს უწია კიდევ ერთმა მომხიბლავმა რუსმა მანდილოსანმა ელენა დემენტიევამ, თუმცა თანამემამულე და სეხნია ბოვინასთან ცოტაოდენი ოფლის მოდენა დასჭირდა.

რუსი ქომაგები ვაჟებმაც გაახარეს. კაცთა ბადეში პირველ ნომრად განთესილმა ევგენი კაფელნიკოვმა მატჩი და რუსი მანდილოსნების გული მოიგო, არც მისგან ძლეულ მიხაილ იუჟნის დააკლეს აპლოდისმენტები, რაც კაფელნიკოთან ლამაზი ბრძოლისთვის დაიმსახურა.

**ვაჟები**

**პირველი წრე. ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:3, 6:3; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — როჯერ ფედერერი (3, შვეიცარია) 6:3, 1:6, 7:6 (7:4), **მაგნუს გუსტაფსონი** (შვედეთი) — ნიკოლა ესკუდე (8, საფრანგეთი) 6:4, 5:7, 6:4; **უეინ ფერერა** (სამხრეთ აფრიკა) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:4, 7:5; **ტომას იოჰანსონი** (5, შვედეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:2, 6:3; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:7 (1:7), 7:6 (7:4), 6:1; **ფაბრის სანტორო** (6, საფრანგეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:2, 6:1; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 6:4, 7:5; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ბოჰდან ულირახი (ჩეხეთი) 6:1, 6:0

**ქალები**

**პირველი წრე. ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:2, 6:2; **გალინა ფოკინა** (რუსეთი) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:2, 1:6, 6:2; **იროდა ტულიაგანოვა** (უზბეკეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 6:2; **ელენა დოკიჩი** (5, იუგოსლავია) — ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი) 6:3, 5:7, 7:5; **ელენა დემენტიევა** (8, რუსეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:3, 6:4; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:2, 6:3

**ტოკიო. იაპონიის ღია პირველობა საპრიზო 970 ათასი $**

ტოკიოში გახურებულ იაპონიის ღია პირველობის მაცქერალი ჩოგბურთის ადგილობრივი გულშემატკივარი ამაოდ ელის სენსაციას. მართალია, ვაჟებში 16 განთესილიდან პირველ-მეორე წრეში ოთხი გავარდა, მაგრამ მათ შორის აშკარა ფავორიტს ვერ ვხედავთ. გავარდნილთაგან არავინაა პირველი ათეულის მკვიდრი. გუშინ ჩამთავრებული მეორე წრე მშვიდად გაიარეს პირველ-მეორე ნომრად განთესილებმა ლეიტონ ჰიუიტმა და სხენგ შალკენმა.

აი, ქალებში კი მცირე სენსაცია გამოაცხო ახალზელანდიელმა პავლინა ნოლამ, რომლის ჩოგნის მარჯვე ქნევა მეშვიდე ნომრად განთესილ ფრანგ ნატალი დეშის ტურნირიდან გავარდნად დაუჯდა.

**ვაჟები**

**მეორე წრე. ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) 6:2, 6:2; **სხენგ შალკენი** (2, ჰოლანდია) — კრისტიან ვინკი (გერმანია) 6:3, 6:4; **რაინერ შუტლერი** (3, გერმანია) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:3, 7:5; **იონას ბიორკმანი** (4, შვედეთი) — ჰიროკი კონდო (იაპონია) 6:1, 6:3; **მიხაელ კრატოხვილი** (5, შვეიცარია) — ოტა ფუკარეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:3), 1:6, 4:4; **მარსელო რიოსი** (7, ჩილე) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:2, 7:5; **ლარს ბურგსმიულერი** (9, გერმანია) — ჰუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 3:6, 6:3, 7:5; **ნიკოლას მასუ** (11, ჩილე) — ტომას ზიბი (ჩეხეთი) 6:3, 7:6 (7:4); **დანაი უდომჩოკი** (ტაილანდი) — ჰარელ ლევი (10, ისრაელი) 7:5, 6:0; **ჯეიმს ბლეიკი** (ზიმბაბვე) — უეინ არტურსი (14, ავსტრალია) 7:6 (7:4), 7:5; **მაიკლ რასელი** (15, აშშ) — სესილ მემიტი (აშშ) 3:6, 6:4, 6:3; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — რამონ დელგადო (16, პარაგვაი) 6:4, 6:4; **ტაკაო სუძუკი** (იაპონია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:5, 4:6, 6:4

**ქალები**

**მეორე წრე. მონიკა სელეში** (1, აშშ) — იუნ-იონგ ჩო (სამხრეთ კორეა) 6:2, 6:3; **პავლინა ნოლა** (ახალი ზელანდია) — ნატალი დეში (7, საფრანგეთი) 6:3, 4:6, 7:6 (7:5); **რიტა გრანდე** (6, იტალია) — ბარბარა შვარცი (ავსტრია) 6:4, 6:4

**ივანე კობიაშვილი**


REUTERS ტოკიოდან

მონიკა სელეშმა მესამე წრეში გააღწია





REUTERS ველინგტონიდან

ჯონ მიტჩელი ეს-ესაა დაინიშნა ახალი ზელანდიის მთავარ მწვრთნელად

# შავების მხსნელად ნაშავარი შეიგულეს

**ბოლო** ხანებში ბევრს ლაპარაკობენ, ახალი ზელანდია ისე ვერ თამაშობს, ქალენის, ლომუსა და მარშალის პატრონს რომ ეკადრებაო. ამის საფუძველი კი „შავების“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობები გახდა. არადა, რაც გუნდი უეინ სმიტმა ჩაიბარა, ახალმა ზელანდიამ ჩვიდმეტ მატჩში თორმეტი გამარჯვება იზეიმა. თითქოს დადებითი ბალანსიც გააჩნდა, მაგრამ მედალს ხომ ორი მხარე აქვს.

ბოლო ორი წელია, „შავები“ ავსტრალიელთა ჩრდილქვეშ მოექცნენ. სამი ერის პირველობაც და მსოფლიო თასიც „ვოლაბებს“ დაუთმეს და ამასთან ის აგრესია და პეწიც დაკარგეს, რაც აგრერიგად იზიდავდა გულშემატკივარს. თუმცა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის თავმჯდომარემ მიურეი მაკქოიმ განაცხადა, ავსტრალიასთან წაგების მიუხედავად, მჯერა სმიტისა და მისი ნაკრებისო. როგორც ჩანს, პატივცემული თავმჯდომარე მთლად გულწრფელი არ იყო, ვინაიდან გუშინ უეინ სმიტს კარისკენ მიუთითა, ხოლო ნაკრების თავკაცის პოსტი ჯონ მიტჩელს ჩააბარა.

თავის მხრივ ჯონ მიტჩელი ის კაცია, ვინც „შავების“ ღირსება 1993 წელს ბრიტანულ ტურნეში დაიცვა, სამ მატჩში კი კაპიტნის სამკლავურით გაუძღვა გუნდს. აქტიურ სპორტს გამოთხოვებული მორკინალი სამწვრთნელო ციებ-ცხელებაში გადაეშვა და ნალდი ნათლობა წლეულს მიიღო, როდესაც ზე-12-ში ვაიკატო მეექვსე ადგილზე გაიყვანა. სანამ მიტჩელი „ოლ ბლექსს“ ჩაუდგებოდა სათავეში, მანამდე იგი ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის კლაივ ვუდვორდის თანაშემწე იყო.

„ბრიტანეთში მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარა, კლაივ ვუდვორდისგან ბევრი ვისწავლე. ვფიქრობ, მზად ვარ ნაკრები ჩავიბარო. ისიც კარგად ვიცი, რომ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს შევეჭიდები. ეს იგივეა, ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი იყო. აქ შეცდომას არავინ გაპატიებს, მაგრამ ჩემი თავის იმედი მაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი“ — განაცხადა მიტჩელმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

თავისი რჩეულის დიდად სჯერა ახალი ზელანდიის რაგბის მამას მიურეი მაკქოის, ვისაც მიტჩელი მხსნელად დაუგულებია და მასში მომავალი მსოფლიო ჩემპიონის თავკაცს ხედავს.

აღსანიშნავია, რომ ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელობა 21 კაცს სურდა. მიტჩელმა ყველას აჯობა, მათ შორის „ოლ ბლექსის“ ყოფილ კაპიტანს და სუპერვარსკვლავ უეინ შელფორდს, ზე-12-ის ქენთერბრის დამრიგებელ რობი დინს, დასავლეთ სამოას ნაკრების მწვრთნელ ჯონ ბოუს და ახალზელანდიელთა აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის უეინ სმიტის თანაშემწე ტონი ჯილბერტს.

ჯონ მიტჩელი თავის საქმიანობას ნოემბერში შეუდგება. „ოლ ბლექსს“ ამ თვეში ორი ტურნე აქვს გასამართი. ერთი ბრიტანეთში, შოტლანდიასა და ირლანდიაში და ერთიც არგენტინაში. ერთი ნიუანსიც — სანამ ჯონ მიტჩელს თანაშემწეებს დაუნიშნავენ, მანამდე ნაკრების მომზადებასა და კანდიდატების შერჩევაში უეინ სმიტი, ტონი ჯილბერტი და „შავების“ სელექციონერი პიტერ სორბერნი შეეშველებიან.

**ბაჩო სვანიძე**

**განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრი**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ხელოვნების სტუდიაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობებზე.
მოსწავლეები შეისწავლიან ფერწერას, გრაფიკას, ძერწვას, გობელენსა და მაკრამეს, ხისა და ლითონის დამუშავებას.
სტუდიაში მიიღებიან ბავშვები შვიდი წლის ასაკიდან და ზემოთ.

მისამართი: დავით აღმაშენებლის 68.
ტელ: 95 48 57, 92 03 96

**ფირმების რეგისტრაცია ოფშორული კომპანიები რუსეთის ვიზები**

მისამართი:
„პირიმზე“ მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხრა თვის თავზე

## ახვლედიანი საპრეზიდენტო დებიუტს აჯამებს


ვაჟა [illegible] ფოტო

ლევან ახვლედიანი

***საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის მმართველობა ამა წლის იანვარში შეიცვალა, პრეზიდენტის პოსტი ლევან ახვლედიანმა დაიკავა. მაშინ ქართული ფრენბურთი, როგორც ასეთი, ფაქტობრივად არ არსებობდა, დამოუკიდებელი საქართველოს 10 წლის ისტორიაში ამ სახეობის ეროვნული ნაკრების ოფიციალური მატჩი არსად აღნუსხულა და ფედერაციას რამდენიმე ათასი დოლარის ვალიც ჰქონდა გადასახდელი. ვალები გასტუმრებულია და პრეზიდენტის სიტყვებით, მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა.***

**— რას გამოარჩევდით გასულ ცხრა თვეში გაკეთებული საქმეებიდან?**

— კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო ადრე ნათქვამი: მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, მსოფლიოსა (ფივბ) და ევროპის (სევ) ფრენბურთის ფედერაციებში არ გვქონდა არანაირი რეპუტაცია, ახლა კი საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები გვაქვს. მოგეხსენებათ, საქართველოში იმყოფებოდა ფივბ-ის მწვრთნელთა კომისიის თავმჯდომარე იური ჩესნოკოვი, რაც ფივბ-ის პრეზიდენტის რუბენ აკოსტას უშუალო ჩარევით მოხერხდა. ჩესნოკოვმა აქ სემინარები ჩაატარა და ჩვენი ენთუზიაზმი მოიწონა. მერე მე ვიყავი ევროპული ფრენბურთის კონგრესზე, სადაც აკოსტაც იმყოფებოდა. იქ საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია ინიციატივით გამოვიდა, რომ თბილისში შეიქმნას ფრენბურთის განვითარების რეგიონალური ცენტრი, რომელიც კავკასიის რეგიონს მოემსახურება. ამგვარი ცენტრი ევროპაში არ არის და მისი დაფუძნება შორი საქმეც არაა, კონტრაქტი უკვე გამზადებულია.

ჩვენი მეორე ინიციატივა იყო კავკასიის ზონის შექმნა. უნდა გამოიყოს დახმარება ფივბ-დან და თბილისში ჩატარდეს შეხვედრები კავკასიის კლუბებსა და ნაკრებებს შორის. ერთი, შეიძლება ითქვას, ისტორიული მატჩი გასულ უქმეებზე უკვე შედგა.

**— ეროვნულ ნაკრებს გულისხმობთ?**

— დიახ. საქართველოს ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრებმა პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა. უფრო ზუსტად, ორი მატჩი. სომხეთის ნაკრებს ვეთამაშეთ და ორჯერვე 3:0 მოვუგეთ.

**— როგორია ჩვენი ნაკრების პერსპექტივა?**

— გაისად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გამოვლენ დიდებიც და იუნიორებიც. ნაკრები ფირმა „ჩემპიონის“ სამოსს ჩაიცვამს. კონტრაქტს სწორედ ახლა ვაფორმებთ, ბურთებით კი იაპონური „მიკასა“ მოგვამარაგებს. იგი ხარისხიან და ძვირადღირებულ ბურთებს აწარმოებს.

**— რაც შეეხება კლუბებს...**

— აგვისტოში ვაჟთა გუნდი „თბილისი“ ყაზახეთში იყო და „ნაზარბაევის თასზე“ ითამაშა. ყველა შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ სპეციალისტებს გუნდი მოეწონათ და „თბილისი“ თამაშს გააგრძელებს. ამ თვეში შვეიცარიაში მივდივართ, სადაც „ევროპის მოწინავე გუნდთა თასის“ გათამაშებაში ჩავებმებით. ეს თასი რანგით მეორეა ჩემპიონთა ლიგის შემდეგ და საკმაოდ პრესტიჟულ საკლუბო ტურნირად ითვლება. პირველ ეტაპზე შვეიცარიულ „ლოზანასთან“ ვთამაშობთ.

გარკვეულ წარმატებას ქართველებმა პლაჟის ფრენბურთში მიაღწიეს. ქართული წყვილი (ახვლედიანი, ჩიქოვანი) პირადი კონტაქტების წყალობით საბერძნეთში, „ჩელენჯერის“ გათამაშების ფინალურ ეტაპზე გავუშვით. იქ მათ ერთი თამაში მოიგეს, 12 სარეიტინგო ქულა დააგროვეს და მსოფლიოს რეიტინგის 150 საუკეთესოში შეაღწიეს. დიდი შანსია, რომ ათენის ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვონ.

გარდა ამისა, ივლისში ქალთა ნაკრებს თბილისში შეკრება მოვუწყვეთ, მერე კი ბარსელონაში დიდ საერთაშორისო ტურნირზე უნდა წავსულიყავით, მაგრამ მიზეზთა გამო ესპანეთის საელჩომ ვიზები არ მოგვცა. დავაფინანსეთ აგრეთვე პლაჟის ფრენბურთში ქალთა და ვაჟთა 3-3 წყვილი და თურქეთში ტურნირზე გავუშვით.

**— ვინ გაფინანსებთ, სპორტის დეპარტამენტიდან რამე თუ გერგოთ?**

— წლეულს ბიუჯეტიდან ფრენბურთზე არც ერთი თეთრი არ გამოუყვიათ. ყველაფერი ჩვენი ფულით გაკეთდა. ფედერაციამვე შეიძინა ფორმები და „მიკასას“ ბურთები. ახლა ვცდილობთ, რომ მომავალი წლის ბიუჯეტიდან სულ მინიმუმი მაინც შეგვხვდეს.

ოქტომბრის ბოლოს ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება და ახალი სისტემით გაიმართება. მოკლედ, საქმე ადგილიდან იძვრის და ცოტა ხელშეწყობა უნდა, რომ შედეგები მოვიმკოთ. რაც უნდა იყოს, ბურთიანი სახეობაა და გულშემატკივარი და მოთამაშე მუდამ ეყოლება.

**დავით გულუა**



# სამსოფლიოსჩემპიონატო როქი ამერიკულად

**თუ** ვინმე მოუთმენლად ელის მსოფლიოს ჩემპიონატს, უპირველესნი, რა თქმა უნდა, მოჭიდავეები არიან. ფალავნები აგერ უკვე რა ხანია, იმედოვნებენ, იქნებ საშველი დაგვადგეს და ხალიჩაზე გასვლის საშუალება მოგვცენო, მაგრამ უმთავრეს ასპარეზობამდე მათ კიდევ ერთი თვე მოუწევთ ლოდინი.

მოგეხსენებათ, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა კალენდრით გათვალისწინებული 35-ე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის 26-29 სექტემბერს ნიუ იორკს უნდა ემასპინძლა. თუმცა 11 სექტემბერს აშშ-ში დატრიალებულმა უბედურებამ არათუ ამერიკაში, არამედ სხვა ქვეყნებში გათვალისწინებული საერთაშორისო ტურნირების კალენდარი თავდაყირა დააყენა. მიუხედავად ამისა, ამერიკელები იხტიბარს არ იტეხდნენ და ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ. ამის გამო ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (ფილა) იძულებული შეიქნა, საგანგებო სხდომა მოეწვია, რათა სიტუაციიდან გამოსავალი გზები მოეძებნა. ჭიდაობის მამებმა, ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, დაასკვნეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ მსოფლიოს ჩემპიონატს ერთი თვით გადადებდნენ, მით უმეტეს, რომ წინააღმდეგნი არც ამერიკელები გახლდნენ. გადადეს კიდეც, თუმცა ზუსტი თარიღი არ დაუსახელებიათ. არც ის უთქვამთ, საერთოდ უმასპინძლებს თუ არა ამგვარ ასპარეზობას ნიუ იორკი, რადგან რამდენიმე ქვეყანამ უსაფრთხოების მოტივით აშშ-ში გამგზავრებაზე უარი თქვა. თუმცა აშშ-ის ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელ ბრიუს ბაუმგარტნერს ეჭვიც არ ეპარება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს, როგორც ეს თავდაპირველად იყო გათვალისწინებული, ნიუ იორკი უმასპინძლებს. მეტიც, ფილა-სგან განსხვავებით, ამერიკელებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თარიღიც დაასახელეს, ოღონდ ერთი პირობაც წამოაყენეს — ტურნირი ჩვენთან 6-9 დეკემბერს გაიმართოსო. სხვა დანარჩენ შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატი წლეულს სხვა ქვეყანაში მოაწყვეთ, ჩვენ კი 2003 წლის ჩემპიონატისთვის გვამასპინძლებინეთო. რამდენად წარმატებული გამოდგება ეს როქის მსგავსი ულტიმატუმი, 10 ოქტომბერს ლოზანაში, ფილა-ს სხდომაზე გაცხადდება. არადა, [illegible]ლია ისიც, რომ 2003 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლად უკვე დასახელებულია საფრანგეთი.

წინადადებაში, გნებავთ მოთხოვნაში, რომელიც აშშ-ის ჭიდაობის მოხელეებმა ფილა-ს წარუდგინეს, გათვალისწინებულია ერთი მუხლიც. ეს იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონატს ნიუ იორკი უმასპინძლებს. კერძოდ, ახალი გეგმით „მედისონ სკვერ გარდენში“ 9 დეკემბერს მხოლოდ ფინალები ჩატარდება, ხოლო სხვა დანარჩენი საკვალიფიკაციო შეხვედრები ჯეკობ ჯევიტსის სახელობის დარბაზში გაიმართება.

სხვათა შორის, თუ ნიუ იორკმა მოახერხა და 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პატივი მოიპოვა, ზემოთ ხსენებულ სარბიელზევე გაიმართება მოჭიდავეთა ასპარეზობებიც.

აშშ-ის ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლის, გერი ებოტის თქმით, ამერიკის ჭიდაობის მოხელეებმა არ იციან, თუ მათ რომელ წინადადებას აირჩევს ფილა.

„ჩვენთვის უცნობია, რა როგორ იქნება. ფილა-ს უკვე დაუკავშირდა 11 ქვეყანა, რომლებიც მზად არიან, უმასპინძლონ მსოფლიოს ჩემპიონატს, თუ, რა თქმა უნდა, ტურნირი წლეულს აშშ-ში არ ჩატარდება“ — განაცხადა ებოტმა.

მართლაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს 10 ოქტომბრის სხდომაზე. ამ შეხვედრაზეა დამოკიდებული ისიც, თუ როდის დაიწყებენ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას ქართველი ფალავნები. ტერაქტების გამო ჩვენს მოჭიდავეებს უკვე ჩაუვარდათ შეკრება. იგივე რომ არ განმეორდეს, საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია ფილა-სგან მითითებებს ელის. სწორედ მათ მიერ შემუშავებული კალენდარი განსაზღვრავს იმას, თუ როდის შეუდგებიან ქართველები საგანგებო სამზადისს, რათა დათქმული თარიღისთვის მსოფლიოს ჩემპიონატს შესაბამისი კონდიციებით შეხვდნენ. მით უმეტეს, რომ იოლი გასეირნება არ გველის, რადგან, როგორც ცნობილია, მსოფლიოს უმთავრეს ხალიჩაზე 82 ქვეყნის 693 ათლეტი გამოვა.

სხვათა შორის, პირველად მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ვაჟებთან ერთად ქალებიც იჭიდავებენ.

**გიგა გურასაშვილი**



# გარი კასპაროვი: კრამნიკმა ტიტული უნდა განამტკიცოს

***მსოფლიოს ჭადრაკში ძალღი პატრონს ჯერ კიდევ ვერ სცნობს. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) დაადგინა, რომ თავის ჩემპიონატს მოსკოვში გამართავს და მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ფიდეს ვერსიით, ვიშვანათან ანანდი იქ ითამაშებს, ხოლო იურიდიულად მეორე ჩემპიონი, ანატოლი კარპოვი ამ დროს მოსკოვშივე ბოტვინიკის მემორიალზე გამოვა გარი კასპაროვთან და ვლადიმირ კრამნიკთან ერთად. კრამნიკი მსოფლიოს ჩემპიონთა ტრიოს მესამე წევრია, კომპანია „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ ვერსიით და ალბათ ყველაზე მეტად ტიტული მას ეკუთვნის, რადგან მატჩი მოქმედ ჩემპიონს, კასპაროვს მოუგო.***

***დიახ, გარი კასპაროვი უკვე ექსჩემპიონად იწოდება და ამას არ უარყოფს, მაგრამ ჯიუტად ამტკიცებს და ასეცაა, რომ იგი პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკეა. კასპაროვი ლიდერობს რეიტინგ-ლისტებში, ზედიზედ იგებს სუპერტურნირებს და აცხადებს, რომ კრამნიკი მორალურად ვალდებულია, მასთან მატჩ-რევანში ითამაშოს. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც კასპაროვმა თავისივე ვებგვერდის ჟურნალისტს მისცა.***


გარი კასპაროვმა ხმა აიმაღლა

**— გარი, თქვენ უარი თქვით „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ შესარჩევ ციკლში მონაწილეობაზე, რომელიც დორტმუნდში უნდა გაიმართოს. ფიქრობთ, რომ კრამნიკთან მატჩ-რევანშის თამაშს მოახერხებთ?**

— უკვე სავსებით ცხადია, რომ ჩემი საჭადრაკო ძალა ლონდონის მატჩის შემდგომ არ შემცირებულა. გასულ შემოდგომას მე ტრაგედია შემემთხვა — დავკარგე ტიტული, მაგრამ ორნახევარი წლის მანძილზე 10-დან 9 სუპერტურნირი მოვიგე. და რას მიაღწია ამ დროს კრამნიკმა?

ერთ ახლანდელ ინტერვიუში ბარეევი (კრამნიკის სეკუნდანტი ლონდონში) ამბობს, გაგვიმართლაო, რაც ადრე არ უთქვამს. სავსებით ცხადი ხდება კრამნიკის მიზანი — ჩემთან არ ითამაშოს! არასდროს! მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვისთან და რა ფულზე ითამაშებს ახალ მატჩს, ლეკოსთან, ტოპალოვთან თუ სხვა ვინმესთან, ოღონდ ეს მე არ ვიყო... ვეჭვობ, მატჩ-რევანშში კრამნიკი თავის შანსებს 50 პროცენტზე ნაკლებად აფასებს და არ სურს, გარისკოს. მე კი მიმაჩნია, რომ კრამნიკი უბრალოდ ვალდებულია, დაამტკიცოს ლონდონის მატჩის შედეგის კანონზომიერება, მაგრამ იგი გულის სიღრმეში ალბათ ეთანხმება ბარეევს და აქედან მიზანი: არ ითამაშოს მატჩ-რევანში და თავი ისე დაიჭიროს, თითქოს ჩემი სატურნირო გამარჯვებები არაფერს ნიშნავს. სხვანაირი სცენარი კრამნიკს არ აინტერესებს.

**— მაგრამ რატომ არ აინტერესებს მატჩ-რევანში კინს („ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ თავმჯდომარე), ის ხომ ბიზნესმენია?**

— შარშან ნოემბერში კინმა მიიღო ისეთი ჩემპიონი, როგორზეც ოცნებობდა. ახლა მას პროცესების მართვა შეუძლია, მაგრამ ფული აღარ აქვს. პრინციპში არც მაშინ ჰქონდა საკმარისად. ყველამ ნახა ლონდონის მატჩის ორგანიზაციული დეფექტები. „რივერსაიდ სტუდიოს“, სადაც ვთამაშობდით, რაღაც საშუალო იყო ხელბურთის მოედანსა და საჯინიბოს შორის (არ მინდა, მაგარი სიტყვები ვიხმარო). არ ვიცი, შემდეგ რა იქნება, მაგრამ ფაქტია, რომ „ბრაიანგეიმზს“ დღეს ფინანსურად ძლიერ უჭირს...

**— დორტმუნდში იმიტომაც არ მიდიხართ, რომ იქაურ ორგანიზატორებთან კონფლიქტი გაქვთ?**

— 1994 წელს მათ ტურნირის სტატუსის ამაღლება უნდოდათ და მოლაპარაკებები გამიმართეს, რომ პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ფინალი დორტმუნდში მეთამაშა. თითქმის ყველაფერზე შევთანხმდით და უცებ სრულიად უსაფუძვლოდ მეც და ასოციაციაც ლაფში ამოგვსვარეს, მოიწვიეს პრესკონფერენცია და განაცხადეს, ჩავატარებთ სუპერტურნირს და მასზე ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონი... ანატოლი კარპოვიო. მერე იმათთან რა მესაქმებოდა?

**— ზოგნი თვლიან, რომ მსოფლიოს ჩემპიონი მაინცდამაინც უძლიერესი მოჭადრაკე არ უნდა იყოს...**

— ვიცი ეს თვალსაზრისი და პარადოქსი ისაა, რომ ამას ამბობს ხალხი, ვინც თავის დროზე ხალიფმანის ჩემპიონობას არასერიოზულად მიიჩნევდა.

აქ მთავართან უნდა მივიდეთ: ჩემი პრინციპული აზრით, მატჩ-რევანშზე ავტომატური უფლება არასწორია და თუ მე დაჟინებით ვითხოვ ამას, იმიტომ, რომ ვიგებ ყველა ტურნირს, მათ შორის, კრამნიკის მონაწილეობითაც. მას ახლა უბრალოდ არ სჭირდება ახალი მეტოქის ძებნა, მე აქ ვარ.

შერჩევის ახალი სისტემის შექმნა კი დიდებული იქნებოდა, მე ამისთვის მუდამ ორივე ხელი ამიწევია, მაგრამ დღეს ამის გაკეთება აბსურდია. აბსურდულია ციკლი, რომელშიც რამდენიმე უძლიერესი მოჭადრაკე არ ითამაშებს: ნათელია, რომ უარს იტყვის ანანდი, აგრეთვე ფიდეს ახალი ჩემპიონი... მეორეც, შერჩევა რისთვის ტარდება? ხომ იმისთვის, რომ უძლიერესი პრეტენდენტი გამოვლინდეს, ახლა კი ყველამ კარგად იცის, რომელი მატჩი იქნება ნამდვილად საჩემპიონო. ჩემი პოზიცია არ შეცვლილა — ჩემპიონმა უძლიერეს მოთამაშესთან უნდა ითამაშოს. მომიგებს კრამნიკი მატჩ-რევანშს? ყველა კითხვა მოიხსნება. წააგებს და...

## ხუთი რგოლში

# ბერძნეები თან ყოჩაღობენ და თან არა



იოანა ანგელოპულოს-დასკალაკი

**მას** შემდეგ, რაც ათენმა 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პატივი მოიპოვა, ბერძნებს არაერთხელ დაატყდათ თავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რისხვა. ოლიმპიზმის მამები მათ თითს იმიტომ უქნევდნენ, რომ 2004 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი, შეიძლება ითქვას, ზერელედ მოეკიდა ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პროგრამას. მერე და მერე კი, უფრო სწორად, როდესაც ორგკომიტეტს ცნობილი ბერძენი მილიონერის მეუღლე, იოანა ანგელოპულოს-დასკალაკი ჩაუდგა სათავეში, ელინებს წინსვლა დაეტყოთ. ახლაც, ამ რამდენიმე დღის წინ, ათენში სოკ-ის საკოორდინაციო კომიტეტის მორიგი საინსპექციო ჯგუფის ვიზიტისას აღინიშნა, რომ ბერძნები ოლიმპიადისთვის სამზადისში რეალურ პროგრესს განიცდიან, მაგრამ არა ისეთს როგორც საჭიროა. ანგელოპულოს-დასკალაკის თქმით, ბევრ სფეროში წინსვლა შეიმჩნევა. კერძოდ, ამაღლდა ორგკომიტეტის მართვის დონე, ზედმიწევნით კონტროლდება ოლიმპიადის ბიუჯეტი, ოლიმპიური სოფლის საცხოვრებელ ზონაში დაიწყო სამუშაოები, გეგმისამებრ მიმდინარეობს სხვადასხვა მშენებლობა. და რაც მთავარია, ყველაზე დიდი წარმატებები მიღწეულია ოლიმპიადისთვის სპონსორთა მოზიდვის საკითხში. ამის დასტურად 101 პროცენტით შესრულებული გეგმაც მეტყველებს. ლიცენზიების გაცემით მიღებულმა შემოსავალმა მოსალოდნელს 147 პროცენტით გადააჭარბა. 21 ათასმა ადამიანმა კი ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად მოხალისედ მუშაობის სურვილი გამოხატა. მართლაც, ადრინდელთან შედარებით ბევრი რამ მოწესრიგდა, მაგრამ არის ისეთი საკითხებიც, რომლებზეც სასწრაფო რეაგირებაა საჭირო. როგორც საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი აღნიშნავს, პრობლემები კვლავაც არსებობს ზოგიერთი ობიექტისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, სახელმწიფომ მათ მოსაგვარებლად დროულად უნდა იზრუნოს. მეორე მხრივ კი, ანგელოპულოს-დასკალაკი კმაყოფილია იმით, რომ ხელისუფლები უსაფრთხოების ზომების გადახედვას და კიდევ უფრო გამკაცრებას აპირებენ. ათენში ჩატარებული სამუშაოებით არც სოკ-ში არიან უკმაყოფილონი, თუმცა როგორც ოლიმპიური მოძრაობის მმართველი ორგანოს საკოორდინაციო კომიტეტი იუწყება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ისევე როგორც ზოგიერთი ოლიმპიური ობიექტისა და საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, შეშფოთებას იწვევს. მათ ეეჭვებათ, ის ნაგებობები გეგმით გათვალისწინებულ დროში ჩაიბარონ.

# ათენი მკაცრ პოლიტიკას ატარებს

## აკრედიტაცია + ვიზა

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რომ ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებლად ისედაც გართულებული პროცედურა კიდევ უფრო გამკაცრდება. თუ აქამდე სპორტსმენები, სოკ-ის წევრები და სხვა ოფიციალური პირები ოლიმპიადის დედაქალაქში სააკრედიტაციო ბარათებით ჩადიოდნენ, მომავალი ოლიმპიურ თამაშებზე შეიძლება სრულიად სხვა სურათი ვიხილოთ. 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლებმა უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით გადაწყვიტეს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა პირმა, სპორტსმენი იქნება ეს თუ სოკ-ელი მოხელე, სააკრედიტაციო ბარათთან ერთად ქვეყანაში შესასვლელად პასპორტში ჩაკრული ვიზაც უნდა იქონიოს. არადა, აქამდე ვიზის მოვალეობას, სხვა უპირატესობებთან ერთად, სააკრედიტაციო ბარათი ასრულებდა. ახლა კი წინადადებამ, რომელიც ბერძნებმა სოკ-ს წარუდგინეს, სავსებით შესაძლებელია, ეს რეალობად აქციოს. მით უმეტეს, რომ აშშ-ში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ არავინაა დაზღვეული ასეთი საშიშროებისგან, მეტადრე ოლიმპიური თამაშები. ბერძნებიც ამიტომ ფრთხილობენ. ეგ კი არა, 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების მშვიდობიანად ჩასატარებლად ელინებმა უსაფრთხოების დასაცავად 600 მილიონი დოლარიც გამოყვეს. ამასთან ერთად, შესაძლო ტერორისტული თავდასხმის ასაცილებლად გადაწყვიტეს, ითანამშრომლონ შვიდ ქვეყანასთან, მათ შორის აშშ-ისთან, ბრიტანეთსა და ისრაელთან. როგორც ერთ-ერთი ბერძენი მაღალჩინოსანი აცხადებს, ოლიმპიადის უსაფრთხოებას 50 ათასი პოლიციელი და ჯარისკაცი დაიცავს. გარდა ამისა, სხვადასხვა ხიფათის გასაუვნებლად ამოქმედდება სპეციალური მზადების პროგრამაც. ეგ კი არა, ახალ საერთაშორისო აეროპორტში ბერძნები თვითმფრინავის გატაცების ინსცენირებასაც აპირებენ, რათა შესაძლო ტერორისტული აქტის შემთხვევაში უკეთ გაისარჯონ და ასეთი რამ დროულად აღმოფხვრან. მათ დაეხმარებიან ამერიკელები და ბრიტანელები, რომლებიც საბერძნეთის სპეც-სამსახურებს შესაბამისად აღჭურავენ და გაწვრთნიან.

# თეთრი ოლიმპიადა მილიტარიზებული იქნება

**ერთი** რამ ფაქტია: სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშები არ იქნება ისეთი ლაღი, როგორც სიდნეის ოლიმპიადა იყო. 11 სექტემბერს აშშ-ში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ოლიმპიადა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარდება. მართალია, არც აქამდე იყო უსაფრთხოების საკითხი მეორეხარისხოვანი, მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარად იქნება. 2002 წლის თეთრი ოლიმპიადა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, ალბათ, ყველაზე მილიტარიზებული იქნება. შესაძლო მოსალოდნელი საფრთხის გამო იმასაც კი ამბობდნენ, იქნებ სპორტის ამ უდიდეს ღონისძიებას სხვა ქვეყანამ უმასპინძლოსო, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ საკითხთან დაკავშირებით პრინციპულობა გამოიჩინა. მით უმეტეს, რომ ოლიმპიური თამაშების თუნდაც თარიღის გადატანაც კი დიდ ფინანსურ ზარალს გამოიწვევს, რომ არაფერი ვთქვათ მის სხვა ქვეყანაში გამართვაზე ან საერთოდ გაუქმებაზე. ისე კი, ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში ისეც მომხდარა, რომ ამგვარი ღონისძიება საერთოდ გაუუქმებიათ კიდეც, მაგრამ მაშინ პირველი და მეორე მსოფლიოს ომები მძვინვარებდა. ასე რომ, თუ ოლიმპიზმის მამებს დავუჯერებთ, სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადა დათქმულ ვადებში, 8-24 თებერვალს ჩატარდება, თუმცა გამკაცრებული ზედამხედველობის ქვეშ. ასპარეზობების განმავლობაში სპორტსმენთა და მაყურებელთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ საჯარისო ნაწილები. სრულ მზადყოფნაში იქნება როგორც სახმელეთო, ისე სამხედრო-საჰაერო ავიაცია. იუტას შტატის წარმომადგენლის, სენატორ-რესპუბლიკელ ჯიმი ჰანსენის განცხადებით, ხალხის სიმშვიდისთვის ხელისუფალნი მზად არიან, შეცვალონ აქამდე არსებული კანონები. კერძოდ, თუ მშვიდობიანობის დროს სოლტ ლეიკ სიტიში, რომელიც იუტას ადმინისტრაციული ცენტრია, იკრძალებოდა სამხედროთა ყოფნა, ახლა ეს შეზღუდვა აღარ იმოქმედებს. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა თეთრი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა მიტ რომნიმაც, რომელმაც მადლიერება გამოხატა იმ სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ, რომლებმაც მზადყოფნა გამოთქვეს ოლიმპიადის მშვიდობიანად ჩასატარებლად. მიტ რომნიმ ვაშინგტონში თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ პირებთან, ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა და სხვა სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისას შეიმუშავა მოქმედების მკაცრი გეგმა.

„ტერორისტთა უპრეცედენტო თავდასხმამ საგონებელში ჩაგვაგდო, მაგრამ ამჯერად უპირატესობა ჩვენს მხარეს იქნება. ჩვენ ვიცით, რა, სად, როდის და როგორ დავიცვათ“ — განაცხადა რომნიმ. საინტერესოა იუტას შტატიდან სენატორის, ბობ ბენეტის აზრიც: „რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ ტერორისტებმა შეძლონ სპორტულ ბაზებზე შემოღწევა, ამიტომაც ყველანაირი მოულოდნელობისთვის მზად უნდა ვიყოთ. 11 სექტემბრამდე, აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ კომერციული ავიახაზების თვითმფრინავების იარაღის სახით გამოყენება შეიძლებოდა“.

**ბიბა ბურასაშვილი**

# NHL სეზონის წინ

## წყნარი ოკეანის დივიზიონი

### ანაჰაიმ მაითი დაქსი

**მოვიდნენ: მცველები კიტ კარნი, ჯეისონ იორკი**
**წავიდნენ: მცველი ფრედრიკ ოლაუსონი**

ანაჰაიმის ქომაგებს ერთი სული აქვთ, ახალი სეზონი დაიწყოს, წინა კი რაც შეიძლება, მალე დაივიწყონ. მართლაც 2000-2001 წლების სეზონს იმედგაცრუების მეტი არაფერი მოუტანა კალიფორნიულ კლუბისთვის. ქრონიკული ტრავმების გამო ჩვეულად ვერ გამოიყურებოდა პოლ კარია, დედლაინზე სან ხოსეში გადავიდა ტეემუ სელიანე, რომლის თამაშსაც ბოლო ხანს წვალება უფრო ეთქმოდა. ლიდერების შემხედვარე გუნდმა ყურები ჩამოყარა და მთლიანობაში „იხვების“ 9-წლიან ისტორიაში ეს ყველაზე ცუდი სეზონი აღმოჩნდა.

ზაფხულში გუნდმა მეტწილად დაცვის გამაგრებაზე იზრუნა. ორივე ახალწვეული მცველი პირადი ფუნქციების კარგი შესრულებითაა ცნობილი. გარდა ამისა, გამოჯანმრთელდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე, პირველი ხაზის ცენტრფორვარდი სტივ რუჩინი (შარშან მხოლოდ 16 თამაში ჩაატარა). გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს — ტერი მიურეი, რომელმაც დროებით დანიშნული გი შარონი შეცვალა. მანამდე კი მიურეი გაათავისუფლეს ცუდი შედეგების გამო. თუ „იხვებმა“ წლეულსაც ვერაფერს მიაღწიეს, ადვილი შესაძლებელია, მისმა მფლობელმა უოლტ დისნეის კორპორაციამ საერთოდ დაკარგოს მისდამი ინტერესი. საგამოფენო მატჩებში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ექსპერიმენტულმა სამეულმა, სადაც კარიასთან ერთად დებიუტანტები — ტიმო პიარსონენი და სამუელ პოლსონი გამოდიოდნენ.

### დალას სტარსი

**მოვიდნენ: ფორვარდები პიერ ტარჯონი, რობ დიმაიო, დონალდ ოდეტი, პეტ ვერბიკი, ვალერი კამენსკი; მცველი იურკი ლუმე**
**წავიდნენ: მცველი გრანტ ლედიარდი; ფორვარდები ბრეტ ჰალი, მაიკ კინი, ტედ დონატო, გრანტ მარშალი**

ქება-დიდება ტომ ჰიკსს, დალასის მფლბელი მართლაც ენერგიული და პატივმოყვარე ბიზნესმენი ყოფილა. იგი ძალ-ღონეს არ ზოგავს, რომ ამჟამად დაქვეითებული 1999 წლის ჩემპიონი ტეხასელები კვლავ მწვერვალზე აიყვანოს. ზაფხულში ჰიკსმა აქტიურად იმუშავა და რამდენიმე სახელოვანი მოთამაშე ცხვირწინ ააცალა კონკურენტებს. სხვა საქმეა, რომ მათი უმრავლესობა კარიერას ასრულებს. ჯერჯერობით გუნდის გაძლიერებად მხოლოდ პიერ ტარჯონისა და დონალდ ოდეტის შეძენა შეიძლება ჩავთვალოთ. მარტო ტარჯონი რად ღირს. მისი, ჯო ნუინდაიკისა და მაიკ მოდანოს დარი ცენტრფორვარდთა სამეული ხომ ლიგის ერთ კლუბსაც არა აქვს. დანარჩენთა პროგრესი, ან თუნდაც რეგრესის შეფერხება ერთობ საეჭვოა, თუმც ნურც იმას დავივიწყებთ, რომ დალასის თავკაც კენ ჰიჩკოკს ვეტერანებთან მუშაობა არ ესწავლება. იმავე ბრეტ ჰალის მიერ დალასში ჩატარებული სამი სეზონი ხომ ამის ნათელი დასტურია. სამწუხაროდ, „ოქროს ბრეტი“ გუნდმა ვერ შეინარჩუნა, რადგან კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, ვეტერანი ძალიან ბევრს ითხოვდა. შეგახსენებთ, რომ ჰალმა წინა სეზონში 39 გოლი გაიტანა და მისი შეცვლა არცთუ ადვილი იქნება.

დაცვის ხაზი კი ლიგაში კვლავ ერთ-ერთი ყველაზე გაუვალი რჩება და კიდევ უფრო რთული დასაძლევი გახდება, თუ ედ ბელფორი კარში კვლავ საიმედოდ დადგება. სამწუხაროდ, დალასელმა „არწივმა“ (მეკარის მეტსახელია) გასულ სეზონში პოლიციასა და ჰიჩკოკთან გარკვეული პრობლემების გამო სეზონი არასტაბილურად ჩაატარა. ვნახოთ, რამდენად ეყოფათ დალასის ვეტერანებს მათზე გაცილებით ახალგაზრდა კოლორადოსა და სენტ ლუისთან ბრძოლის ძალა.

### ლოს ანჯელეს კინგსი

**მოვიდნენ: ფორვარდები რენდი რობიტაილი, სტივ ჰაინცი**
**წავიდნენ: ფორვარდები ლუკ რობიტაილი, სტიუ გრიმსონი**

ლოს ანჯელესის შემადგენლობა გასულ სეზონში კარდინალურად შეიცვალა. ასე რომ, ზაფხული შედარებით მშვიდად გაილია, მაგრამ ერთი სერიოზული დანაკლისი გუნდმა მაინც განიცადა — ლუკ რობიტაილის დეტროიტში გადასვლა უმტკივნეულოდ ნამდვილად არ ჩაივლის, რადგან მის მაღალ შედეგიანობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვეტერანი გუნდის სული და გული იყო. ახლა მას ახალი ლიდერი დასჭირდება, რაც, ალბათ, ადამ დედმარშმა უნდა ითავოს. მთავარი დადებითი მომენტი კი ის გახლავთ, რომ პლეი ოფში „მეფეებმა“ როგორც იქნა, შეწყვიტეს მრავალწლიანი წარუმატებლობა (1993 წლის შემდეგ ერთი საპლეიოფო მატჩიც არ მოეგოთ), თანაც თვით დეტროიტი დაამარცხეს. ასე რომ, წლეულს აღარაფერს უნდა ეშინოდეთ. გუნდის ყველაზე ძლიერი ხაზი თავდასხმაა, რომელმაც წინა სეზონში დასავლეთში მესამე შედეგიანობა აჩვენა, მეკარე ფელიქს პოტვინმა კი როგორც იქნა, გამოძებნა თავისი გუნდი და მისი შესაძლებლობებიც გაცხადდა. ნებისმიერ შემთხვევაში გუნდს გაუჭირდება დასავლეთის ოთხ გრანდთან გატოლება.

### ფინიქს კოიოტსი

**მოვიდნენ: მცველი დანიილ მარკოვი; ფორვარდები სერგეი ბერეზინი, დეიმონ ლენგკოუ, ტოდ უორინერი, ტაილერ ბუკი**
**წავიდნენ: მცველები იურკი ლუმე, კიტ კარნი; ფორვარდები ჯერემი რენიკი, ტრევის გრინი, მიქაელ რენბერგი, ჯო ჟუნო, იუჰა ილონენი, რობერტ რაიხელი**

ფინიქსმა მოკლე ხანში თითქმის მთლიანად გამოცვალა შემადგენლობა. საზაფხულო ტრეიდებმა დააგვირგვინა ის ძირფესვიანი რეკონსტრუქცია, რომელიც გუნდის ახალმა თავკაცობამ ჯერ კიდევ წინა სეზონში წამოიწყო. ამის შედეგად ფინიქსი თავის მრავალწლიან ლიდერებს გამოეთხოვა, მათი ადგილი კი ნაკლებად ცნობილმა ახალგაზრდებმა დაიკავეს. ცხადია, უეინ გრეცკისა და კომპანიას სხვა გზა აღარ ჰქონდა, ფინიქსში ხომ ძალიან მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა. საკითხავია, როდის შეძლებენ უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ მეტწილად გამოუცდელი ახალბედები საერთო ენის გამონახვას. ამ სიტუაციაში ერთობ ბევრი იქნება დამოკიდებული იმ რამდენიმე ვეტერანზე (ნუმინენი, დოუნი, კლოდ ლემიე), რომლებიც გუნდს კიდევ შემორჩნენ. იგივე ითქმის მეკარე შონ ბურკზე, რომელმაც წინა სეზონი საუცხოოდ ჩაატარა. ახალწვეულთაგან კი ექსტორონტოელ რუსებს — დანიილ მარკოვსა და სერგეი ბერეზინს გამოვყოფთ. ახალ გარემოცვაში ორივეს მნიშვნელოვან ფიგურად ქცევა მართებს.

### სან ხოსე შარკსი

**მოვიდნენ: ფორვარდი ადამ გრეივსი**
**წავიდნენ: მცველი ჯეფ ნორტონი, ფორვარდი ბილ ლინდსეი**

სანხოსელ ქომაგებს ერთადერთი გზა დარჩათ, ილოცონ, მეკარე ევგენი ნაბოკოვი მეორე ბრაიან ბუშე არ გახდეს. თავისი ფილადელფიელი კოლეგის დარად, ნაბოკოვმა სადებიუტო სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა და მყარად დაიკავა პირველი გოლკიპერის პოზიცია, მაგრამ ვაითუ ყაზახი ლიგაში მეორე სეზონში ისევე ჩაფლავდეს, როგორც ბევრ ახალგაზრდას სჩვევია ლიგაში. თუ ასე არ მოხდა, სან ხოსესგან ბევრს უნდა ველოდეთ. ყოველ შემთხვევაში, თუ სან ხოსე დივიზიონში დალასს გაუსწრებს, ეს აღარ უნდა გაგვიკვირდეს, სადღეისოდ ხომ „ზვიგენების“ თავდასხმა დასავლეთის არც ერთი გრანდისას არ ჩამოუვარდება მრისხანებასა და დაბალანსებაში, ხოლო სელიანე — დამფუსი — ნოლანის ტრიო ეგებ სხვისი მისაბაძიც კი გახდეს. თუ კალიფორნიელები ისევე ეფექტურად იასპარეზებენ რიცხვმრავლობაში, როგორც ამას უმცირესობაში ახერხებენ, დამლევგმა, სან ხოსესთვის საიუბილეო მე-10 სეზონმა, შესაძლა, ბევრი სასიამოვნო წუთი აჩუქოს გუნდის ფანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფინიქს სანზი

დაარსდა 1968 წელს
ნბა-ს ჩემპიონი არ ყოფილა
მუდმივი ნომერი: 5 (დიკ ვან არსდეილი), 6(უოლტერ დევისი), 7(კევინ ჯონსონი), 24(ტომ ჩამბერსი), 33 (ელვინ ადამსი), 42 (კონი ჰოკინსი), 44 (პოლ ვესტფოლი)
დარბაზი: ამერიკა ვესტ არენა

# ჩამქრალი მზე

**1968 წლის** ერთ მშვენიერ დღეს ფინიქსელმა ბიზნესმენმა, ვინმე რიჩარდ ბლოხმა, ნბა-ს მაშინდელ კომისარ უოლტერ კენედის საქმიანი წინადადებით მიმართა. მილიონერის მიმართვას თხოვნის ფორმა ჰქონდა, მისი წინადადება კი სამხრეთულ მომცრო ქალაქ ფინიქსში პროფესიული საკალათბურთო გუნდის დაარსებას და მის ნბა-ში გაწევრიანებას შეეხებოდა. ბლოხის თხოვნას ნბა-ს კომისრის ლოგიკური რეაქცია მოჰყვა. „თქვენ ხომ არ გაგიჟდით? ფინიქსი ძალიან პატარა, ერთობ ცხელი და კალათბურთს სრულიად მოწყვეტილი ქალაქია." ერთი სიტყვით, კენედიმ მთხოვნელს მტკიცე უარი სტკიცა.

ბლოხი ჯიუტი აღმოჩნდა და როგორც იქნა, კომისარი რამდენიმე დღით ქალაქ ფინიქსში გასეირნებაზე დაიყოლია. „მე ვესაუბრე ბევრ შემთხვევით შემხვედრ ბიჭუნას, გოგონას, რამდენიმე ტაქსისტს და, რბილად რომ ვთქვა, გამაოცა კალათბურთში მათმა ჩახედულობამ და გარკვეულობამ, ყველას ეს თამაში აბოდებს. ამ პატარა პროვინციული ქალაქიდან მტკიცედ დარწმუნებული წამოვედი, რომ ფინიქსი მზად იყო, დიდი კალათბურთი მიეღო" — უთქვამს კენედის. ამერიკული კალათბურთის მამის თანხმობა წინ გადადგმული მოზრდილი ნაბიჯი იყო. შემდეგ გაჩნდა გუნდის სახელიც. 25 ათასი ფინიქსელის გამოკითხვის შემდეგ, ახალდაარსებული კლუბის ხელმძღვანელობამ იოლად მიაგნო სახელს — „სანზ", რაც „მზეებს" ნიშნავს და პირდაპირ ზედგამოჭრილია არიზონას უდაბნოში გაშენებული ფინიქსისთვის. ასე ჩაეყარა საფუძველი „ფინიქს სანზს", პირველ ფინიქსურ პროფესიულ კლუბს. მანამდე კარგა ხნით ადრე საუბარი იყო, ქალაქს ამერიკული ფეხბურთის კლუბი ჰქონოდა, თუმც კალათბურთმა დაასწრო ამერიკულ ბურთაობას.

ნბა-ს ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში ხშირია კლუბის ერთი ქალაქიდან მეორეში გადაბარგების შემთხვევები. გუნდის, თუნდაც ის ხალხის საყვარელი იყოს, ხანგრძლივი ჩავარდნები გულშემატკივარს გულს უცრუებს. ქომაგის გულგრილობის ზრდასთან ერთად კლუბის შემოსავალიც იკლებს და იწყება ახალი ბინის ძიება. ზოგ კლუბს სამი და ოთხი ქალაქის სახელით უთამაშია. აი, „სანზი" კი ამ პრობლემას არასდროს შეუწუხებია. „მზეებმა" გაუძლეს არიზონულ თაკარა მზეს. ფინიქსმა მიიღო კალათბურთი, კალათბურთი აყვავდა ამ ქალაქში. ფინიქსელებს არასდროს ასცრუებიათ გული „მზეებზე", შესაძლოა იმიტომ, რომ „სანზს" არ ჰქონდა ხანგრძლივი ჩავარდნები. სტატისტიკა მოვიშველიოთ. 33 სეზონში „სანზს" მხოლოდ ერთხელ წაუგია თამაშების ორ მესამედზე მეტი, ისიც პირველ წელს, როცა გამოცდილება აკლდა. ოდენ სამჯერ წაუგია 30 მატჩზე მეტი და 33 სეზონიდან 21 მოგება-წაგებების დადებითი ბალანსით დაუმთავრებია. ისე, „მზეები" მაინცდამაინც ბევრსაც ვერ იგებდნენ. მხოლოდ ერთხელ ასცდნენ 60 გამარჯვებას. ერთი სიტყვით, „ფინიქს სანზი" ძირითადად საშუალოებში იყო, იშვიათად სტუმრობდა ცხრილის ფსკერს და ზედაპირს. „მზეებს" ორჯერ — 1976 და 1993 წლებში — ჰქონდათ მართლა გაბრწყინების, გაჩემპიონების შანსი. ორჯერვე დამარცხდნენ. ფინიქსი ჯერაც ელის ნბა-ს ოქროს.

ზემოთ „სანზის" დამაარსებელი რიჩარდ ბლოხი ვახსენეთ. კლუბის ისტორიაში იყო და არის უფრო მასშტაბური პიროვნება — ჯერი კოლანჯელო. დღეს იგი „მზეების" მფლობელი და სრულიად ნბა-ს მიერ დაფასებული კაცია. მას აუშენებია ფინიქსის ყველა გუნდი 1968 წლიდან დღემდე.

შორეული 60-იანი წლების ბოლოს კოლანჯელო მხოლოდ 28 წლის იყო, როცა „სანზის" გენერალურ მენეჯერად დანიშნეს და ნბა-ს კალიბრის გუნდის გაკეთება დაავალეს. მანაც შეკრიბა 10-12 ჯეელი და გააკეთა გუნდი, რომელმაც „სანზის" პირველ პროფესიულ, 1968-69 წლების სეზონში 16 თამაში მოიგო, 66 წააგო და ცხრილში მყარი ბოლო ადგილი დაიკავა. ამისთვის კოლანჯელომ ბევრი საყვედური და მეორე შანსი მიიღო და საქმეს უფრო გულმოდგინედაც მოჰკიდა ხელი. „სანზმა" თანდათან ხორცი შეისხა და დაარსებიდან რვა წლის შემდეგ, 1976 წელს, ნბა-ს ფინალშიც გავიდა. იმ „ფინიქსის" ლიდერები იყვნენ დიკ ვან არსდეილი, პოლ ვესტფოლი და ელვინ ადამსი. „სანზს" იმხანად ჰყავდა კიდევ ერთი ვარსკვლავი, კონი ჰოკინსი, ცარიელი ნიჭი, რომელიც ვერ გაიფურჩქნა ბოლომდე. 1976 წელს „ფინიქსმა" ამ ხალხის ოფლით პლეი ოფში დასავლეთში ყველას აჯობა და ფინალში ჯონ ჰავლიჩეკის და დეივ კოუენსის „ბოსტონს" შეერკინა. „მზეებმა" ფინალურ სერიაში 0:2 ჩამორჩენის შემდეგ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, თუმც შემდეგი ორი შეხვედრა გაცილებით ძლიერ მეტოქეს დაუთმეს და 2:4 დამარცხდნენ.

ამის შემდგომ „ფინიქსი" წლების განმავლობაში საშუალოთა შორის გახლდათ, 90-იან წლებში კი კვლავ გაუჩნდა ოქროს მოპოვების შანსი. 1985-87 წლებში ოდნავ მოსუსტებული „სანზის" აღმავლობას საფუძველი დაუდეს ყოჩაღმა უკანახაზელებმა — კევინ ჯონსონმა და დან მარლიმ. 1990 წლის პლეი ოფისთვის ეს გუნდი ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, პლეი ოფის მეორე წრეში კი სერიოზულ გამოცდაზე გავიდა. ისინი უნდა შერკინებოდნენ მეჯიქ ჯონსონის „ლეიკერსს", რომელთანაც ერთი წლის წინ სამარცხვინოდ, 0:4 წაეგოთ. „სანზი" კი წარსულს არ დაგიდევდათ და სერიის ოთხი თამაშის შემდეგ 3:1 იგებდა. სენსაცია მეხუთე თამაშში, ლოს ანჯელესში გამოცხვა. გასვლით შეხვედრაში კევინ ჯონსონმა სასწაულები აკეთა, ის თამაში „სანზს" 106:103 მოაგებინა და „ფინიქსიც" დასავლეთის ფინალში გავიდა.

„ფინიქსი" ამაზე შორსაც წასულა, მაგრამ „ლეიკერსის" ძლევამ განსაკუთრებულად გაახარა ფინიქსელები. ლოს ანჯელესიდან დაბრუნებულ გმირებს აეროპორტში ცხრა ათასი გადარეული ქომაგი ელოდა, ბევრი უკვე ჩემპიონობაზეც ფიქრობდა, მაგრამ მომდევნო წრეში „მზეები" „პორტლენდთან" 2:4 დამარცხდნენ. გამოჩნდა, რომ გუნდი მოიკოჭლებდა ფარქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელი ტომ ჩამბერსი სულაც არ იყო ურიგო და ჯერი კოლანჯელომ კარგი მეფარის ძებნა დაიწყო. ასეთი 1992 წელს გამოჩნდა, მრისხანე „სერ" ჩარლზ ბარკლი.

ბარკლი 1992-93 წლების სეზონის წინ „ფილადელფიიდან" სამი კაცის სანაცვლოდ გადმოვიდა და საქმესაც შეუდგა. მან პირველ ვარჯიშზევე სცემა თანაგუნდელი სედრიკ სებალოსი, რითაც ყველას აჩვენა, ვინ იყო. დიდი ჩხუბისთავი გახლდათ ბარკლი, მაგრამ ამ სულ რაღაც 196-სანტიმეტრიანმა უძლიერესმა მეფარემ კალათბურთის თამაშიც კარგად იცოდა. იგი „ფინიქსის" 34-ნომრიანი მაისურის მორგებისთანავე დაერია გუნდის მეტოქეებს და „სანზს" ბრწყინვალე სეზონი აჩუქა. არიზონელებმა რეგულარულ ჩემპიონატში ყველა დანარჩენზე მეტი, 62 თამაში მოიგეს. თავად ბარკლიმ აშკარად აჯობა მიკლ ჯორდანს და სეზონის უძვირფასესი მოთამაშეც გახდა (ერთადერთი ფინიქსელია, ვინც ეს შეძლო). მისმა გუნდმა კი დასავლეთში ყველას გადაუარა და მალე ფინალიც გამოჩნდა, სადაც ორგზის ჩემპიონი „ჩიკაგო ბულზი" და მაიკლ ჯორდანი ელოდნენ.

ეს იყო ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთი ულამაზესი და უდაძაბულესი ფინალი. მეტოქეები ერთმანეთზე უკეთ თამაშობდნენ, საკალათბურთო სამყარო მათი ცქერით ხარობდა, ღელავდა. „ჩიკაგომ" მოიგო პირველი ორი თამაში ფინიქსში, რითაც თითქოს თავი ქუდში ჰქონდა, მაგრამ „სანზი" არ ცხრებოდა და ახლა მან იმარჯვა ზედიზედ ორჯერ სტუმრად. მეხუთე თამაში „ბულზს" დარჩა და ფინალისტებმა კვლავ ფინიქსში გადაინაცვლეს.

„სანზი" კბილებით ობობდა, მეექვსე შეხვედრაში სჯობდა ორგზის ჩემპიონს, ბოლო წამებზე 98:96 იგებდა, როცა საიდანღაც „გამოტყვრა" მანამდე ბევრი არაფრის მაქნისი, „ბულზის" სათადარიგო ჯიმ პაქსონი, სამქულიანი გაისროლა და „ჩიკაგომ" ზედიზედ მესამე ჩემპიონობა იზეიმა.

„ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მომხდარიყო, სამიანი იყო — იგონებს იმ თამაშის მონაწილე, დღეს კი „სანზის" ერთ-ერთი მწვრთნელი ფრენკ ჯონსონი — თუ ისინი ორ ქულას ჩააგდებდნენ, ეს ჩვენ გვაძლევდა ხელს, ისინი ოვერტაიმში ჩვენი მომგებნი არ იყვნენ, „ბულზი" აშკარად გადაღლილი ჩანდა. თუ თქვენ ამაზე ფიქრობთ, მაიკლ ჯორდანი, ყველა დროის უძლიერესი კალათბურთელი, იყო და არც იყო მოედანზე, მისგან საფრთხე არ მოდიოდა. ჩვენ ბედისწერამ დაგვამარცხა."

„ვგებ ვცდებოდე, მაგრამ ამ ფინალის წაგების შემდეგ ბარკლისთვითს კალათბურთმა აზრი დაკარგა" — თქვა მაშინ მისმა თანაგუნდელმა რიჩარდ დუმარსმა. გარკვეულწილად ეს ასეც იყო. ჩარლზ ბარკლი მომდევნო სეზონში ვეღარ ბრწყინავდა. მართალია, „ფინიქსი" კვლავ იბრძოდა ჩემპიონობისთვის, მაგრამ „სერ ჩარლზის" მებრძოლი სულისკვეთების დაქვეითებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. „ფინიქსი" აღარ იყო მეტოქის დაჯაბნაზე დაგეშილი. მაგალითად 1994 წლის პლეი ოფიც გამოდგება. „სანზი" მეორე წრეში „ჰიუსტონს" ხვდებოდა, სტუმრად პირველი ორი მატჩის მოგების შემდეგ 2:0 დაწინაურებულს თავი ქუდში ჰქონდა. „მზეებმა" იმდენი მოახერხეს, სერია 3:4 წააგეს, ასეთი რამ კი ნბა-ს ისტორიას არ ახსოვს. „არ ვიცი, რატომ, მაგრამ საზიზღრად ვითამაშე" — თავს იმართლებდა და არც იმართლებდა ბარკლი. ხოლო როდესაც მომდევნო წელსაც ზუსტად იგივე განმეორდა, ყველა მიხვდა, რომ „სანზის" მზე ვეღარ ამოვიდოდა, თავად ბარკლიც და 1996 წელს იმ „ჰიუსტონში" გადავიდა, ასე რომ სძაგდათ ფინიქსელებს.

1996 წლიდან „ფინიქს სანზში" ახალი სახეები გამოჩნდა. მობერებულ და ტრავმებით დატანჯულ კევინ ჯონსონს ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა — ჯეისონ კიდი, რომელმაც „სანზს" გარდაუვალი დაცემა აარიდა და საშუალოებში ადგილი დაუტოვა.

არსებითად „ფინიქს სანზი" თითქმის ყოველთვის საშუალო იყო, ფინიქსელებს კი ჩემპიონობა შიათ. ჯერი კოლანჯელო, „სანზის" მუდმივი მშენებელი კვლავაც თავისას ცდილობს. ახალ სეზონსაც „მზეები" ახალი ლიდერით ეგებებიან. ორიოდ თვის წინ კოლანჯელომ ჯეისონ კიდი „ნიუ ჯერსის" სტივენ მარბერიში გაუცვალა. მარბერიც გამთამაშებელია და მის ყოველ მოძრაობაში დიდი ნიჭი ჩანს. მალე კევინ ჯონსონის დონეს უწევს, ეს კი ცოტა არაა, მაგრამ გამოჩნდება კი მეორე ჩარლზ ბარკლი? თუმცა „ფინიქსს" იგი უკვე ჰყავდა, მან კი ვერ აანთო მზე ფინიქსელებისათვის.

**ირაკლი ფირცხილი**



ავი დიდებული, „სერ" ჩარლზ ბარკლი



ბარკლის მოსვლამდე „ფინიქსის" შეტევებს კევინ ჯონსონი უძღვებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯორდანი ველმინგტონში

„ვაშინგტონ ვიზარდსი“ სულ სხვაგვარი გაქანებითა და სულით ემზადება ნბა-ს ახალი სეზონისთვის. აბა რა, ახლა ხომ გუნდში მაიკლ ჯორდანი თამაშობს. სავარჯიშო შეკრება „ვიზარდების“ ჩრდილოეთ კაროლინაში, მთლად ჯორდანის მშობლიურ ქალაქ ვილმინგტონში აქვს. საწუხარი მხოლოდ ის არის, რომ გუნდს თან სდევს ჟურნალისტთა ლაშქარი, რომელიც გასაქანს არ აძლევს მაიკლს და ვარჯიში დასრულდება თუ არა, მის გარშემო იყრის თავს.



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ბოულინგი თბილისში

თბილისის „ბოულინგ ცენტრში“ კაი გასართობი შეჯიბრი გაიმართა. ერთმანეთს ქალაქის ჟურნალისტთა ოთხკაცა გუნდები შეეჭიდნენ. „სარბიელმა“ ამ შეჯიბრზე მიავლინა გამოუცდელი, მაგრამ მონდომებულ და ალღოიან მოთამაშეთა გუნდი, რომელმაც გზადაგზა აითვისა ბოულის გორების ანაბანა და თორმეტგუნდა შეჯიბრში მესამე ადგილი დაიკავა, რის შედეგადაც ერგო ბოთლა შამპანური, მომცრო შუშა კონიაკი, ერთი ხელადა კარგი ღვინო, ორი სანთებელა და ჯიბის კალენდარი. ჩემპიონი შეიქნა სტუდია „მაესტროს“ ვარსკვლავთა გამოცდილი გუნდი, რომელმაც ჩვეული ოსტატობით ჩაატარა მთელი შეჯიბრი და სხვა პრიზებთან ერთად „რონიკოს“ ფირმის სათვალეც მიიღო. მეორე ადგილზე პირველი რადიოს (FM 106.4) ასევე მშვენივრად მოასპარეზე გუნდი გავიდა.



REUTERS ვაშინგტონიდან

# მარადონა მსხალთან

ამა წლის იანვრიდან ჰავანაში გადაბარგებული დიეგო მარადონა კვლავაც ამ ქალაქში ცხოვრობს და თითქოს განიკურნა კიდეც კოკაინის ყნოსვის მავნე ჩვევისაგან. 10 ნოემბერს მარადონას საბენეფისო თამაში აქვს ბუენოს აირესში, სადაც მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები მოიყრიან თავს. დიეგო თამაშს აპირებს და ჩანს სურს, რომ კარგ ფორმაში იყოს, აბა კრივის მძიმე მსხალს რატომ დაეძგერებოდა?

# მრბოლები კორტზე



REUTERS ტოკიოდან

იაპონიის ღია პირველობაში ჩართულია ამერიკის ოუფენის ბოლო გამარჯვებული, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი და ორი წრეც იოლად გაუვლია (მეორეში გერმანელი მარკ-კევინ გელნერი დაუმარცხებია 6:2, 6:2). სწორედ ამ დროს, ტოკიოში თავი მოუყრიათ მოტორბოლის ვარსკვლავებს, რათა უქმეებზე წყნარი ოკეანის დიდი პრიზი გაითამაშონ მოტეგის ტრასაზე. ჰიუიტის თამაშის სანახავად მოსულან მისი მეგობრები, იტალიელი ლორის კაპიროზი (შუაში) და ესპანელი კარლოს ჩეკა.



REUTERS ჰავანიდან

# ჩემპიონი მეხანძრეებთან

გასულ უქმეებზე ბერნარდ ჰოპკინსმა ფელიქს ტრინიდადი დაჯაბნა დიდ საკრივო ორთაბრძოლაში და მსოფლიოს უდავო ჩემპიონი შეიქნა საშუალო წონაში. ნიუ იორკში მყოფი ჰოპკინსი ახლა დღევანდელი ნიუ იორკის უპირველეს გმირებს, მეხანძრეებს ხვდება შუა მანჰეტენზე, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები.



REUTERS ნიუ-იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge